

არნოლდ გეგეჰორი

დედობუნება

შ ე მ ო დ გ ო მ ა
ზ ა მ თ ა წ ი

გამომცემლობა „ბანათლეზა“
თბილისი — 1988

5-ა (41)
20.1.(2 რ)
502 (47.922)
გ 264

ამ წიგნში მკითხველი გაეცნობა საქართველოს ბუნების საინტერესო მოვლენებს შემოდგომაზე და ზამთარში. აგრეთვე დედაქალაქის ორგანული ზაქაროს განვითარებაზე არსებულ მანამდროვე შეხედულებებს, რაც საურაღებო ხაყითხს ბიოლოგიის იხეთი დარგებიდან, როგორცაა ეთოლოგია და ეკოლოგია. იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, განსაკუთრებით საინტერესო იქნება საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებისა და ნორჩი ნატურალისტებისათვის, გამოადგებათ აგრეთვე ბიოლოგის მასწავლებლებს, ბუნების ეველა მოყვარულს.

წიგნი რეკომენდებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სატეო მკურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ.

რეცენზენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ჟოხაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. დარბაძევილი

შე რ ა დ ი დ ა ჩ ა ხ ა კ რ ა ე ი ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი ე კ უ თ ვ ნ ი ს ა ვ ტ ო რ ს

4306020800 — 020

Г ----- 158 — 88

М — 602(08) — 88

ISBN 5-505-00403-7

© გამოქვეყნდა „განათლება“, 1988

შ ე მ ო დ გ ო მ ა

ამინდი შემოდგომით
მცენარეები შემოდგომით
ცხოველები შემოდგომით

კალი კვიანი შემოდგომის ტუპი



უამოღობა

ცხრა თიბათიდან მზე სამხრეთისკენ ბრუნდება და ცოტ-ცოტათი გვმორდება; თან-და-თან კვიან-კვიან ამოდის და უფრო ადრე ჩადის, ამიტომ დღე მცირდება, ღამე კი მატულობს. თერთმეტს ენკენისთვე დღე და ღამე სწორდება, ასე რომ თორმეტი საათი ღამეა, თორმეტი დღე. ამ რიცხვიდან იწყება შემოდგომა. ღამე თან-და-თან სჭარბობს დღესა და თორმეტს ქრისტეშობისთვის ერთი ორად მეტი ხდება დღე-ზედ. მზე რამდენადაც სამხრეთისკენ მიდის, იმდენად თავის სხივებს უფრო აღმაცრივ კვიკვანის. სიცხოველე მას ცოტ-ცოტათი აკლდება, ქვეყანას ხეირიანად ვეღარ ათბობს და ამიტომ ჰაერი ცივდება. დილით და საღამოთი ხან ისე ცივა, რომ თბილი ტანისამოსი უნდა ჩაიცვას კაცმა. მოწმენდილს ღამეში ნამის მაგივრად რთვილს გააგ-დებს ხოლმე. დილ-დილით წელის ჰატარა გუბეებს ჰეინავს. ცა მალ-მალე იღრუბ-ლება, ამასთან ზაფხულის ღამას თეთრ ღრუბლებს ვეღარ ვხედავთ; ამათ მაგივრად გულის გვიღონებს ტუეისფერი ხშირი ღრუბელი, რომელიც ცას მთელი კვირაობით აღარ შორდება. შემოდგომის წერილი წვიმა ზაფხულის მსხვილსა და მხანაუნა წვიმას არა ჰკავს. ამკვარი წვიმა ხან რამდენსამე დღეს განუწყვეტლად სცრის, მიწაც მხელად შრება. მთებს ამ დროს სთოვლავს, თუმცა ბარში ჯერ თოვლს ფეხი ვერ მოუკიდნია, რადგანაც მთებში ამ დროს ზამთარია, ამიტომ იქიდან ცივი ქარი მალ-მალე მოჰქრის.

წამსვლელი ფრინველები ზაფხულის კასულმივე შორს მოგზაურობისათვის ემზადებ-ბიან. ეველასე ადრე დაფაცურდნენ მერცხლები და ენკენისთვის დამდევსავე გასწიეს თბილს ქვეყნებში. შერმე რამდენიმე რიგად დამწკრივებული წეროები და კარული ბატები ევი-რილით გაუმკვარუნენ. ამათ თან გაჰყვებიან მწერები და სხვა ფრინველები. ტუეები და ჭალები ცალოვრდება და გულ-გამაწკრივლებელი სიჩუმე შეარდება. ზამთრისთვის ჩვენთან ცოტადა რჩება ფრინველი.

ზაფხულში ბევრი ხილი დამწიფდა და მოილია, მაგრამ ზოგმა კი დამწიფება ვერ მოასწრო და შემოდგომას შემოუსვლელი შეჰყვა. შემოდგომაზე ბაღებში ბევრ-ნაირი მსხალი და ვაშლი ჯერ კიდევ შეუკონწილული სდგას, მაგრამ ისინიც მალე მოიკ-რიფება. ეურმენიც შემოდგომის დამდევს სრულიად მწიფდება. ამ დროს მსხმოიარე ზვარი მეტად სასამოვნო სახანავია.

რამდენიც დრო გადის, იმდენი მთელი ბუნება უფრო მეტად ღონდება, ხეებს ფოთოლი უევითლდება და ძირსა სცვივა. რომელი ხეც გაზაფხულზედ ადრე აუკავდება ხოლმე, იმას ფოთოლიც ადრე უევითლდება. ღონიერი ქარი ძალად აურევიანებს ჯერ კიდევ ნახევრო-ბით მწვანე ფოთოლსა, მალა ჰაერში ააქვს, ატრიალებს, დეამიწას ჰყენს და ზოგან

მუდრო ადგილებში ფოთლების გროვებს აუენებს. ცოტა ხნის განმავლობაში ტყე და ჭალა მთლად შიშვლდება.

გადავიხედოთ მინდორში. არც ეს არის სასიაშოვნო მდგომარეობაში. რომელს ბალახსაც გახმობა ზაფხულში ვერ მოჰპრევია, შემოდგომის სიცივე და ქარი ჩქარა ახმობს. ჭირნახულის მიწები ზაფხულშივე დაცალიერდება; შემოდგომაზე მხოლოდ სიმინდი მოსჩანს აქა-იქ ევითლად, მაგრამ იმასაც მალე მიჰშიდავს გლეხ-კაცი. მინდორი დარჩება სრულიად ცალიერი და შემოდგომის ცივი ქარი ზედ თავისუფლად დაიწეებს სეირნობას. მხოლოდ შემოდგომის ჟეჟილი მწვანე ზაფხურდით ამშვენებს არემარეს. მაგრამ ამ ჟეჟილს დიდი დღე არა აქვს, ზამთრის სიცივე და თოვლი სრულიად მოაღწობს. ფესვები კი ისევ მთელი დარჩება და ამ ფესვებიდან გაზაფხულზე მწვანე ჟეჟილი ზევით სამურად წამოვა.

შემოდგომაზე ეველა სულდგმული ნაღვლიანდება და ზაფხულის სიმხიარულეს ჰკარგავს. ამ დროს ბუნება ხანგრძლივის მუშაობისაგან დადღლილს კაცსა ჰკავს, რომელსაც ძილი მოჰპრევია. ცოტა ხანს შემდეგ ბუნება ბაძბის მსკავს თეორ საბანს წაიხურავს და მთელს ზამთარს დაიძინებს.

შემოდგომაზე გლეხ-კაცს საქმე ცოტა არა აქვს. ენკენისთვის დამდეგს ხნულეში წეული უნდა ჩაუგდოს, მერმე, როცა ხნული გამოძრება, ჰური დათესოს და დაფარცხოს. ამ დროს გუთანიც უბიათ იმათ, ვისაც კი გაზაფხულზე და ზაფხულში ანეული საკმაოდ ვერ მოუხნავს. მერმე უნდა მინდორში გამხმარი სიმინდი მოსჭრას, ურმით შინ მოიტანოს, გაარჩიოს და სასიმიდნე მარში ჩაუაროს. ეენახებშიაც დამწიფებული ეურმენი მოკრეფავს ელის. გლეხ-კაცი რთვლისათვის მხიარულად ემზადება: გოდრებსა სწნავს, ქვეერებსა რეცხავს.

მთელი ჭალაბობა დილით ადრე ადგა და მთლად ეენახისკენ სიაძოვნებით გაემგზავრა. ქალებიც, კაცებიც და ბატარა ემაწვილებიც ერთიანად კალაგდნენ, მუბუ-მწოვარა ბავშვებიც კი აკენიანად თან წაიეუანეს. შინ აღარავინ დარჩა. შევიდნენ ვენახში და ვაზებს შეესივნენ. ეველას დანა უჭირავს და ეურმენს კალათში ჰკრეფს; კალათებს რამ კაავსებენ, გოდრებში ჩაჰკრიბან და გოდრებით საწნახელში მიაქვთ დასაწურად. დიდით მატარამდინ დიდ სიხარულში არიან. ეანის მკაც სომ სასიაშოვნო მუშაობაა გლეხ-კაცისათვის, მაგრამ რთველს მაინც ვერ შეედრება. ემაწვილები ავიდოებსა სჭრიან, ერთ-ერთ-ერთ-ენ და ჯაგნებს აეეთებენ. ბოლოს რთველი გაათავეს, ეურმენი საწნახელში დასაწერეს და ტკბილი ქვეერებში ჩაასხეს. ასე, გლეხმა კაცმა სასამთროდ ზაფხულში ჰური შეინახა, შემოდგომაზე ქვეერებში ღვინო ჩაასხა.

შემოდგომაზე გლეხ-კაცს მაინც უფრო ცოტა და მსუბუქი საქმე აქვს, ვიდრე ზაფხულში და ეურება ქეიფი გასწიოს. ამ დროს დღესასწაული ბეერია. ქორწილების გაჩაღებაც სოფლებში სწორედ შემოდგომაზედ იციან. უხვი დოვლათიც ხელს უწეობთ. ნათესავები ამ დროს ერთი-ერთმანეთს სხვა-და-სხვა სოფლებიდან მალ-მალე ეწვევიან

ხოლომე. კლეს-კაცი ეველა სტუმარს ჰურადად და ძხიარულად უხვდება. ამ დროს სორავი არ
აქლია და თავისი ქონება არავისთვის არა ჰპურს.

შემოდგომა ქალაქებშიაც სცვლის ცხოვრებასა. უქოლგოდ, უძალტოდ და უკალოზოდ
ქალაქელები კარუთ უფრო ძვირად გამოდიან. გრილი აგარაკებიდან ეველანი ჩამო-
ლაგდნენ. ქუჩებში ისე ბევრს აღარ დასეირნობენ, როგორც ზაფხულში. ამის მაგივრად
უფრო ბევრს დედის თუატრში, კონცერტებში და სხვა-და-სხვა კრებებსუ. კაცი ამ დროს
უფრო სჯიდა გრძნობის თუის თავსა, იმიტომ რომ ზომიერად ცივა და ამისთანა სი-
ცივე კაცის სხეულს ამტრებს მიგრამ ჩქარა თოვლი მოხვლას იწყებს; ჯერ ვაჟსუნელ-
დღამაქსუ ცხის მიკაცება ჯ. ჩქარა ცაღნება, პაგნამ, როცა ცაგინვლი მიწა
დავდნა, თოვლი აღარ დაღნება; დაიჭერს სცივეებს, გაეინავს თოვლსა და დადგება
ზამთარი.

თ ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი





რთველი

ეურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის,
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ კოლო, ბუხი თავს დაპბუხის!
შეიკრიბნენ მკრეფაუები, ამოუდგნენ თითო ვაზსა,
ეურძენს ჰკრეფენ, იცინიან და მოაბეს მხარი მხარსა.
მტევნებს ჰკრეფენ, ჰკლეფენ, სჭრიან, გაპკრეს, გაპკრეს ვენახს ხელი,
კალათები იტვირთება და შეიქმნა ხშირი რთველი!..
საურძმეუ კოდრები სდგას, კალათს სცლიან ზედი-ზედა...
აბა, ბიჭო, მარნისაყენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..
ივიღებენ მძიმე კოდრებს სიცილით და ღიღინითა,
ურძით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება, ჭრიჭინითა...
აბა, გიგო, ქრჩხა თუ ვინდა, ან ჯაჯანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის, მოდი, ზურგზე წამოგვიდო...
ჩვეულება ესრეთი კვაქეს, ხილს ვინახავთ საზამთროსა,
ეურძენი სჯობს შესანახად ნესყებსა და საზამთროსა.
მზე ჩავიდა, საწნახლიდგან მოწანწკარებს ტკბილი წეარო,
აბა, ბიჭო, შეადექით, ასლა წურვას მოუჩქაროთ!..
ბიჭებმა ფესთ დაიბანეს, შემოადგნენ საწნახელსა,
გადიან და გამოდინან, უმაღლიან ეურძნის რთველსა.
ავერ, ტკბილმაც მოიმატა, ძლივს-და იტევს ვიწრო დარი,
ჩქაუა-ჩქუფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმაღლარი!..
დაილოცა ღვთის ნაკურთხი, ჩვენი ოფლით მონაჯარი,
მამ, ჰირეულად ღვთისთვის იუოს ზეღამე და კელეპტარი!..

რ ა უ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი



ურბნას კრეკა კალენდრის ხეობიდან რაიონში

ამინდი უამოღგომობით

როდის ღებავ უამოღგომა

კალენდრის მიხედვით შემოდგომის დასაწყისი (დადგომის თარიღი) 23 სექტემბერია. როტორც კი ჰირველი სუსხი დაჰკრავს დედაშიწას, იწყება კაძლიერებული ფოთოღცვენა; იძალებიან შუერები, ქვეწარძაკლები, აძუიბიუბი, ფრინველებიც სამსრეთისაკენ ანსაფრენად ემზადებიან.

საქართველო რთული რელიეფის მქონე რესპუბლიკავა. მსკახად სხვა მთიანი ქვეუნებისა, ჩვენში შემოდგომა მთასა და ბარში ერთისა და იმავე დროს როდი დება.



ღებარდე — მახობრყვად ევკვის შემოდგომის ეუქმკრა — უდროულა (კოლხიკონი)

შემოდგომის სუსხი მთას უფრო ადრე ატრმნობინებს თავს, ბარს — შედარებით მოკვიანებით. ეს კამოწვეულია ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის თავისებურებით. აღნიშნული იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც წესი, ტემპერატურა სიმაღლის მატების შესაბამისად, დედამიწის ზედაპირზე და თავისუფალ ატმოსფეროშიც, მცირდება, კლებულობს. სმირად ეს კარემოება უდევს საუუქვლად ტერიტორიის ვერტიკალურ-კლიმატურ დარაიონება-დასარტყელიანებას.

ზოგჯერ ფენოლოკები შემოდგომას ორ ჰერიოდად ეოფენ — ჰირველი სუსხიდან ფოთოლცვენის ბოლომდე და ფოთოლცვენის დამთავრებიდან ზამთრის დაწვებამდე.

ჰირველი სუსხი შემოდგომის დასაწყისის მაუწვებელია. მაკრამ სმირად მას თბილი და მშრალი შიანი ამინდები მოსდევს. ამ მოვლენას „ბებრის ევავილობას“, ანუ

„ზაფხულის მოქცევას“ უწოდებენ ხოლმე. ხელმოკრედ აუჯავდებიან ევაილები — ბალახოვანი მცენარეები, ზოგიერთი ხე და ბუჩქი. ფრენას იწყებენ მიძალღული შწერები.

შემოდგომა მცენარეთა და ცხოველთა ზამთრისათვის მზადების დროა. გაზაფხულის მსგავსად, დღე და ღამე შემოდგომაზეც თანაბრდება. შემოდგომის დღეღამეობა (ბუნიაობა) 23 სექტემბერსაა. ეს ნიშნავს, რომ დღეც და ღამეც თორმეტ-თორმეტ საათს კრძელდება. შემდეგ კი ღამე სულ უფრო მატულობს. დღე — მოკლდება. მზე ოდნეუ მიეფარება თუ არა ჰორიზონტს, ბინდდება, შემდეგ კი მალე ღამდება.

თ. ფურცხვანიძის მიხედვით, 23 სექტემბერი ასტრონომებმა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნებისათვის შემოდგომის დასაწყისად მიიჩნიეს. დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში ამ დროს გაზაფხულია, რის გამოც მზის სითბოს დიდი ნორმა მატულობს; ის, რაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს აკლდება, სამხრეთს ემატება. ეს პროცესი 22 დეკემბრამდე გრძელდება. შემდეგ სამხრეთ ნახევარსფეროზე მზის სითბოს დიდი ნორმა თანდათანობით მცირდება და ჩრდილოეთს ემატება. ამის მიზეზია მზის ორბიტლე დედამიწის მოძრაობის თავისებურება. 21 მარტიდან 23 სექტემბრამდე მზისკენ გადახრილია დედამიწის ჩრდილოეთი ნახევარსფერო და ამიტომ ეს ნახევარი მზით უკეთესად თბება, ვიდრე სამხრეთი. ამ გარემოებამ გამოიწვია სითბოს დაგროვება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში (გაზაფხული და ზაფხული) და სამხრეთის გაცივება (შემოდგომა და ზამთარი). ეს გადახრა თანდათანობით მცირდება და მთავრდება კიდეც; 23 სექტემბერს მზე ერთნაირად ანათებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს. 24 სექტემბრიდან დედამიწის სამხრეთი ნახევარსფერო თანდათანობით გადაიხრება მზისკენ და ამის გამო იქ გაზაფხულ-ზაფხული იწყება, ხოლო ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე დაგროვილი სითბო თანდათანობით კოსმოსურ სივრცეში გაიფანტება და შემოდგომა-ზამთარი დგება.

მოზრბანდება შემოდგომა და ეველფერს თავისი ფერებით გადაღებას...

შტანასკნელი ზიქა-ჭუსილი

ზირველი ელჭექი, ჩვეულებრივ, აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში იცის. ისმის ქუსილი; მზეს ლეკა, ტუეისფერი ღრუბლები ფარავს და დედამიწაზე გაზაფხულის კოკისპირული, მხაჰნა წვიმა მოდის.

მსგავსი მოვლენები მოკვიანებით ივნის-ივლისშიც კრძელდება. აგვისტოს ბოლოს ელჭექიანი კოკისპირული წვიმები იშვიათია. სექტემბრიდან კი შემოდგომის წვიმები ცრის.

ზოგჯერ, ისიც თბილ დღეებში, ცაზე კვლავ ავდრის მუწეებელი ღრუბლები გაიშლება, ისე, როგორც ზაფხულში, ერთხელ კიდეც გაივლებს და დაიქუსებს. მაგრამ, გაზაფხულთან შედარებით, ეს ქუსილი სულ სხვანაირია: ახლა იგი მზიანი, თბილი დღეების მახარობელი კი არა, ზაფხულის დამთავრების მუწეებელია.

ბუნების ამ უკანასკნელ კანონადებთან ერთად მომავალ საფხულამდე. თბილ, ოქროს-
ფერ დღეებსაც უნდა დავემედიდობოთ!

უკანასკნელი ჰქეპა-ქუსილი საფხულის კედის სიმღერაა. ოქტომბრის ერთ დილას
უცხად შევაძინეთ, რომ მიწა, სასლის სახურავები, სეთა კენწეროები თითქოს შეთო-
ლილია. ეს შემოდგომის თრთვილია. მოჩვენებითა შემოდგომის უპირველი თრთვილი.
მზის სხივი ჯერ არ გაყარებია და თვალის დასამახებებაში ქრება. იქ, სადაც მზე
თვალის შევლებას მოასწრებს, თრთვილი ცვრის წვეთებად აციმციმდება. ჩრდილ-
ში კი ვეველაფერი შეთერთბულია, მკარამ მზე აიწევს თუ არა მალა, თრთვილი
ქრება.

შემოდგომა გვეწვი

„დუარეებული ტყეები...
და ოქროვან ბაღები...
ღურჯამჭვირვალე დღეები...
სულ მცირე რაღაც ნაღველი...
ნაზი სმით ვიღაც შეძახის,
თუა გომბორის ამბორი?
გსაზე ფოთოლი გაწევა —
მინაბეთ, ატმის დაწევა...“

(გ ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე)

აგვისტო მიიწურა და მცენარეებმა „შემოდგომის ბაიარლები გამოჰკიდეს“. ალაგ-
ალაგ უკვე შეუვითლებით ფოთლები ცაცხუსა და მუსას, აყაცისას და არეს, ცუცსლის
ენებად კიაფობუნ ნეკერჩხლები, ნარინჯისფრად იმოსებიან ვერხვები. ჰირველი ვითული
ფოთლები და ტვის ზოგიერთი სილის დაწიფებული ნაოფი შემოდგომის ნიშნებია.

მნიშვნელოვნად მატულობს ბინდი... ადრე ქრება დისი. ღამის ცა მოაკაშავე ვარ-
სკელაებითა მოჭვილილი. თუ ღამე უღრუბლოა, შეიძლება „ვარსკვლავთცვინის“ იმ-
ვითი მოვლენის მოწმინდ გაუხდეთ. „მოწვევტილი“ ვარსკვლავი, ჩვეულებრივ, მვისვე
ქრობად მანათობელ კვალს ტოვებს. ეს მეტეორია. ამ მოვლენას თავისი ანსნა აქვს.
საფხულისა და შემოდგომის შესვედრის საზღვარზე ჩვენი ჰლანეტა მეტეორთა ნაკადს
სედება.

შემოდგომა ადრე ეწვია მთას... აგვისტოს ბოლო დღეებია... ერთხელ შუა დღეზე
ცა მოიდრუბლა. ჩამობნელდა. გადირბინეს შუმა ღრუბლებმა, სუნთქვა შეიკრა ჯარ-
მაგმა ტყემ. დეექანა მთის კალთებზე ქარი, მვინვარედ მიეჭრა ხეებს — ორას-სა-
მასწლოვან გიგანტებს. ააკენეს ბებური სოჭი. გზემზე მტკრისა და ჩამოცვნილი ფოთლე-
ბის კორიანტელი დაატრიალა და გადაიკარგა... „შეამოწმა“ ტვის მსადეოფნა სამ-
თართან მკაცრი ორთაბრმოლისათვის.



სექტემბრის ქარსუსი ჯერ კიდევ ვერ მარცვავს ხეთა ფოთლებს

აკვისტოს დასასრული შოშიების კუნდური სიმღერების დროა. მათ სიმღერებში სევედა სჭარბობს, თითქოს მშობლიურ მხარეს ემშვიდობებიანო. ამ დროს ისინი ზმირად ჰბაძავენ ზაფხულში მოსმენილ ფრინველთა სმებს...

კუნდ-კუნდად დაფრენენ მომილ მინდვრებზე ქედნები, კვრიტები, ჭილევაკები. წეროების რუკრუკი კულს სინანულით ავსებს. დედაფრინველები კულმოდგინედ ამზადებენ ნორჩებს თბილი ქვეენებისაკენ შორეული და რთული გადაფრენის წინ; ისინი ეუფლებიან ფრენას. ათასკვარ ეშმაკობას სწავლობენ ნორჩი როჭოები და კაკუბიცი.

სამხრეთისაკენ ფრენას ჰირველად კუკულები იწეებენ; მათი თანამგზავრები არიან უფეხურა, ჰრანწია, მემატლია. შემდეგ „სტარტი აიღეს“ კრმელნისკარტა ტეის ქათმეპმაც — ხუმრობა საქმე როდია, ნადირობა დაიწყო! თბილი ქვეენებისაკენ სივრცეს მიაპობენ კარეული ბატებიც.

მკლბსა და მეღიებს უმთავრდებათ ქურქის კამოცვლის ჰერიოდი; წამოიზარდნენ

ასალკაზრდა მაჩვენებ; ზამთრისათვის თავკამოდებით იმარაგებს ცხიმს დათვი. ასლხ იგი ეველასფერს ჭამს — თხილსაც, ფესვებსაც, თაფლსაც, სორცსაც. ხშირი სტუმარია სიმინდის, ქერის ნათესებისა — რასაც ვერ ერევა, გადათლავს.

ტუეში გაისმის ძაღლის ჩასლენილი ეუფის მსკავსი უცნაური ბგერები. ეს მამრი შულების ხმაა. ამ ჩლიქოსნებს უკვე შეწვეილების დრო უდგებათ და აი, ბლავიან მდღერის პებნაში. თუ ამ დროს მეტოქეები ერთმანეთს ადაეურებიან, ეს მშვიდობიანი ცსოველები სასტიკ მებრძოლებად იქცევიან. დამარცხებული ტოეებს ბრძოლის ველს.

ზოგიერთი ცსოველი უკვე იწუებს ძილისთვის მზადებას. აგერ, ჰატარა ბუაუი სოკოს ქვეშ შემპერალა და ვეინთავს. ამფიბია გამოსაზამთრებლად მოხერხებულ სადგომს ეძებს.

ტუის ბინადარნი მთელი თვე სულმოუთქმელად იმარაგებენ საკვებს ზამთრისათვის. ციფვი აგროეებს თხილს, ახმობს სოკოს. მას ჯერ სის ეკლიან ტოტზე წამოაცვამს, შემდეგ კი საკუჭნაოში მიარბენინებს. სოკოს მაჩვიც იმარაგებს: სის კუნძებსა და ქვეშე გამოშრალ სანოკაეს საგულდაგულად ინსახვს მოვლილ და სუფთა სოროში. ჩხიკვი ბუდეში გადატანამდე რკოს მიწაში ძალავს, მაგრამ ხშირად ვედარ ჰოულობს; სამაგიეროდ კარული ღორები იგემრიელებენ ჰირს.

ო, როკორ შეიცვალა ტუე მას შემდეგ, რაც აქ ია-ენბელები და ეოჩივარდები ხარობდნენ. თითო-ოროლა ნაკვიანევი ევაიილი ფონს ვედარ ქმნის. დამთავრდა ტუის მასობრივი ევაიილობის დრო.

სულ უფრო სწრაფად ევითლდება ბლახი. ბილიკებზე უკვე შრიალებენ ჩამოცვინილი ფოთლები. ევემშიდობება ზაფხული. მისი მხიარული ფერები იცრიცება და თანდათან მძლავრობს მეწამულ-ნარინჯისფერ-ევიითული ფერები.

მობრძანებულა შემოდგომა!

ბარდამავალი პერიოდი

კაზაფხულის მსკავსად, შემოდგომა წლის კარდამავალი პერიოდია. შემოდგომაზე ბუნებაში ბერი ცვლილებაა. ვინ მოთელის, რამდენნაირ ფერს ეხედებით! ეველასე მნიშვნელოვანია ფოთლოვან მცენარეთა შეფერვა, ფოთოლცვენა და ჰირველი თოვლი. შემოდგომა ჩვენში უჩუულოდ მომხიბლავი დროა. ადრე შემოდგომიდან კვიან შემოდგომამდე მცენარეები ზაფხულის აქტიური მდგომარეობიდან ზამთრის მოსვენებულ მდგომარეობაში გადადიან. მწვანე ფერს შემოდგომის ბრდღვიალა ფერებზე ცვლიან მუსა და წიფელი, არეი და ვერსეი, იფანი და ნეკერჩხალი... ოქროსფერი და მეწამული — აი, შემოდგომის მთავარი სჰჰჰული.

ფერის შეცვლასთან ერთად იწუება მცენარეთა ფოთლების ცვენა, შიშულდებიან ტოტები, ჩერდება ფესვების ზრდა. ტუე ზამთრისათვის ემზადება. სცადეთ და ფოთოლცვენის შემდეგ, ნოემბერში, მოსჭერით არეის ან ვერსეის ტოტი და ლარნაში მოა-



ხუჯ უფრო აკლდება სიმსურველუ შემოდგომის მკეს

თავსუთ. კვირტები აღარ გაიშლება. ამ დროს ისინი ღრმა მოსვენების მდგომარეობაში იმყოფებიან.

მაგრამ მცენარეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შემოდგომაზეც აქტიურად აგრძელებენ ზრდას. ასეთებია რიცი ბალახოვანი მცენარეები — გაზაფხულის ტუის ცერცველა, ფრინტა, ტუისურა.

თვალი ჯერ კიდევ ხარობს მინდვრის უკანასკნელი ვეჯილებით. აკერ, ფარსმანდუკი. იგი გვირღვრავს ნათესავთა, მაგრამ თავისი უპრეტენზიო ვეჯილების ხილამაზით მას ვერ შეეძრება. სსკათა შორის, შემოდგომით ზოგიერთი გვირღვრავს ვეჯის. ლამაზად ვეჯის აგრეთვე მდელის დიდილო და სამეურა. ორივეს მუქვარდისფერი ვეჯილი ამშვენებს. ღია ვეითული ვეჯილები აქვს ლომისკბილას. იგი ძალიან მოკვავონებს ბაბუაწვერას, მაგრამ ვეჯილის კალათები უფრო ზატარა აქვს და, ამასთან, გრძელ დეროზე დგას. აქა-იქ კიდევ შემორჩენენ ვეითული ბაიები. მდელთაზე, მთაში, ისევ კველუცობს სამეურა ია. კესანეს მსგავსი ვეჯილებითაა მოჩითული ნახევარუდაბნოს ბინადარი — შოროქანი, ანუ მლაშე ცოცხი. მაგრამ ეს ბოლო გაბრძოლებაა. მათი ნამდვილი ვეჯილობის ხეზონი ზაფხულია.

შემოდგომის ზვიგები

„შემოდგომაა, წვიმამ მოლია
ტყევა მსუბუქი მელანქოლია“

(კ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი)

შემოდგომის წვრილი წვიმა... დაუსრულებელი ცრიატი... ჩუმი, შემპარავი, უსმარო... და მანც შემაწუხებელი... ჩამოწოლილი ტყეისფერი ცა, ტალახი... შემდეგ შემოდგომის წვრილ წვიმას ნისლი ცვლის, რომელიც სქელ საბნად ეფინება დღემიწას.

ნისლი წლის ოთხივე დროს შეიმჩნევა. ჩვეულებრივ, იგი მდინარეთა ზედაპირზე, დაბლობებსა და ხეობებში წვება, ე. ი. იქ, სადაც ბევრი წვალია. ნისლი დიდობით უფრო სქელია. ამ დროს მიწა ვეულაზე მეტად ცივდება.

მაგრამ აკერ მსუბ დედამიწა გაათბო, ნისლიც დამაჯა და გააქრო.

წვიმა, ნისლი, ჰირველი თრთვილი, ჰირველი ეინუბი შემოდგომის ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენებია.

„მაისის წვიმა — ოქროა,
თიბათვის წვიმა — ვერცხლი,
მკათათვის წვიმა — მღუღარე,
მარიამობის — ცეცხლი!“

(ხ ა ლ ხ უ რ ი)

შამი სთვლოზისა

ფერიცვალება

ისევ სველია მდგლო და კორდი,
გალობს ბუნების უმანკოება,
და მოდის ჩუმად,
წვეთ-წვეთად მოდის
ფერიცვალების ჩუმი ჰოემა!

ო თ ა რ შ ა ლ ა მ ბ ე რ ი მ ე

შემოდგომის ჰირველი თვე წითურ მელახა ჰგავს — ემპაქსა და ცაიძერას. იგი ამ ნადირით უნუმრად, ფესაერეფით იპარება, მოსერსებულად იმალება ხეთა ტოტებში. უხვ მწვანეში მსოლოდ იმეიათად, აქა-იქ თუ გამოჩნდება ცსოეელის წითური კუდი. მან ჯურ კიდევ აკეისტომი დაიდო ბინა ხეთა ფოთლებში.

ღვინობისთვის იქვეა ხეზე, თითოეულ ბუნქვე თითო წითური მელა ზის. მაგრამ დაბურავს თუ არა ოქტომბრის ცივი ქარი, ამ მელიებს ერთი მეორის შიგნით მიწაზე ჩამოასკუპებს. რაც დრო ადის, ქარი სულ უფრო ავი, სუსხიანი ხდება და მელათა სროვებს კისრისტეხით მიჰქანებს შარაკვებისაყენ, შუკებისა და ორღობეებისაყენ, ცხოველებისაყენ აკვალულ ტუის ბილიკებისაყენ.

შემოდგომა ხანმარსაც ჰკავს. ზაფხულის მიწურულს თითო-ორღობა ნაპერწკლებად მიმალული, ოქტომბრისათვის ადვილებად და ნამდვილ სამშოდგომო ხანმარად აციხვდება. ხანმრის ენები ხიდან ხეს სწვდება და ქარი შორს ავრცელებს მას. მაგრამ იგივე ქარი სადაც სველი ღრუბლების კუნდს მოუერის თავს. ბუნებაც თითქოს მიწასა და ცას ერთმანეთს დაუხლოებს, შემდეგ მოუხსნის თავს ღრუბლის „ტიკებს“ და დილიდან საღამომდე გაუთავებელ წვიმას დასხურებს მიწაზე ცვესლის აციხვებულ ზღვას.

ტუეში კაჩენილ ეპურებში დაცურავენ ფოთლის ფერადი ნავეები. ადახუნებულ ბალახზე ცვივიან ჭრელ-ჭრელი ფოთლები. შემოდგომაზე შემორჩენილი ისედაც ღარიბი ევაილები სულ მთლად უფერულდებიან ფოთოლცვენის ამ უსასრულო ფესტივალში.

რატომ ევაილობენ მცენარე-უფემერები კვიან შემოდგომაზე? ზაფხულის მეორე ნახევარში კუჩინარებულნი, რატომ ევაილობენ ზოკიერთი მცენარეები შემოდგომობით ხელმეორედ? რატომაა ერთი და იმავე მცენარის შემოდგომის ევაილები ზაფხულისაზე უფრო მომცრო ზომის?.. აი, რამდენი კითხვის მოცემა შეუძლია შემოდგომის წითურ მელას.

ტუე სახესა ლურჯი სივრცითა და მასში მოცურავე ევითელი ფოთლებით. უჩვეულოდ ლურჯია ზეცაც. ბუნებაში ეველაფერი ბერდება, მათ შორის ადამიანიც. წლებთან ერთად ხუნდება თვალებიც. მაგრამ ცა უბერებელია! იგი ეოველთვის ახალკაზრდაა, კანსაკუთრებით შემოდგომაზე. სხვას, ბეერ სულიერს, ჰირიქით, ამ დროს ჭალარა ერევა. ოქროსფრად დაფერილ ტუეს აჭალარაებს ჰირეული თრთვილი, შემდეგ თრთვილიც დნება და მასთან ერთად ქრება შემოდგომის ფერებიც.

შემოდგომა წლის ერთ-ერთი საუკეთესო დროა. მთელი მისი მომხიბვლელობა უჩვეულო სიმშვიდესა და სიწუნარშია. კარდა კაზაფხულისა, წლის არცერთი დრო არ აღძრავს ადამიანში ამდენ კრძნობასა და ფიქრებს.

მაგრამ დიდხანს როდი კრძნდება ბუნების ფერთა დღესასწაული.

ცხოველები კაფაციცებით აკროვებენ საკვებს — ვისაც როკორ და რამდენი შეუძლია. აი, ტუის ბილიკზე ფოთლებით შემოსილი ზღარბი მოძრაობს, თავისი ეკლიანი ტანით შეკუროვებია ფოთლები, ისიც ზამთრისთვის ემზადება. ტუის ბინადართაყენ ეველაზე თადარიგისანი მანც მანჯია. ზამთრის მილის წინ იგი კულოდკინედ ასუფთავებს ბუნაკს, ცვლის ფოთლების ღვიბს და მას სამკურნალო მცენარეებს უმატებს. ეს ხავსია. ხავსი სამედიცინო ბამბის როლს ასრულებს, შეუძლია კაკაწრული კანის შესორცება. მანჯი-ჰროვიზორის „საფთიაქო ეუთში“ მეხვლებით ასევე კვირილას ღეროებს, შოთხვის ტრტებს. ეს მცენარეები აურთხობენ აბესარ მწერებსა და მანენ მიკრობებს.



შამთრის წინ ოხანქუეს მთაზე, ეკვიზ ევიოელი უდროულა

შამთრის წინ ცხოველები დეზინფექციასაც იტარებენ — ისუფთაებენ კუჭ-ნაწლავს. ამისათვის სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვა გამწმენდ საშუალებას მიმართავს. ცხენ-ირემი წაძლად ხმარობს შსამიან ქაბა სოკოს, სხვა ჩლიქოსნები მწარე აუმახს ამჯობინებენ. დათვი უფრო ხშირად ხემაყის ფესვებს ეტანება.

ფრინველებსაც აქვთ თავიანთი რეცეპტები. როჭო წიწვებს წიწვნის, კაკაბი ქვიშაში და მტვერში „ბანაობს“. ეს ტუის ქათმები მზის აბაზანებზეც არ ამბობენ უარს. ჩხიკვი ჭიანჭველების ბუდეს გადაქექავს, ტანზე შებობლებულ მწერებს სრესს — ჭიანჭველამჭავა ბაცილების დაუძინებელი მტერია!

შემოდგომაზე ნეკერჩხლებს ფერადი ფოთლები ცვივა. ამ ფოთლებისაგან შემოდგომა ქსოვს ულამაზეს სალიჩას.

ზურგში კი დგება ქართველი კაცის სანატრელი დრო — ოქტომბერი, მწიფობის თვე... რთველი.

„ღვინობისთვემ ღვინის ფერი დაასხურა მთა-ველს“...

აი, შემოდგომის გოგლასეული სიტყვებით დასატული ნატურმორტი:

„გოდრებში ჩაურილი ვაშლი და კომში საამურ სურნელებს გამოსცემდა. სხვენში

გურმნის ჩხები, აკიდობები, ხსენისა და ნივრის კალეები ეკიდა. გოგრის ზეინები. ქვეარში ჩაქცეული ქარვალალი. თაფლი თუ თაფლღვინო. სუფრაზე დალაგებული სვავი, რთელის ბარაქა, ხაზრღელი, ნაპრომი, ნაწარღმართევი: პური, ღვინო, სორბალი — ხისხლით ნახუქი მიწის ამაგი. ნაჯაფარი... ნამაშვრალი“...

მცენარეები შემოღომობით

რატომ უვითლდება შემოღომობით ფოთლები?

ფოთოლს მწვანე ფერს აძლევს მწვანე საღებავი ნივთიერება — ქლოროფილი. ფოთლის უჯრედებში სხვა საღებავი ნივთიერებაცაა — ევითელი. როცა მწვანე საღებავი ნივთიერება მცინდება, მას ცვლის ევითელი. ფოთლები არა მარტო ევითლდებიან, წითლდებიან კიდევ. ფოთოლში წარმოიქმნება კიდევ ერთი საღებავი ნივთიერება — წითელი. რაც უფრო ძალაში შედის შემოდგომა, სჭარბობს წითელი საღებავი ნივთიერებაც. ამ ნივთიერების ჭარბ წარმოქმნას ხელს უწყობს სიცხე და მცენარეში სახიცოცხლო პროცესების შენელება.

აი, რატომ იცვლიან ფერს ფოთლები.

ბუნების ფერთა ცვლა კაცდლებით უსწრებს წინ ფოთოლცვენას.

შემოღომის ხალიჩა

ზაფხული მიიწურა, დაიწყო ფოთოლცვენა. რაც უფრო ძალაში შედის შემოდგომა, მით უფრო მდიდრდება ფერებით ბუნება. წითელი, ევითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი თუ ხალებიანი ხალიჩა ეფინება დედამიწას. ძალაში შედის ფოთოლთა ზეიმი!

მშვიდია სექტემბრის დღეები. მზე ისევ უხვად აფრქვევს სსივეებს. მაგრამ ახლა ნაკლებად ათბობს, ვიდრე ზაფხულში.

კიდევ უფრო კაშკაშა ევითლად იფერება ნეკერჩხალი. წიწვოვანთა მწვანეზე, ლურჯიც ფონზე ოქროსფრად ეღვარებს ვერხვი. სამხრეთისკენ მიფრინავენ ფრინველები.

კაპლიერებული ფოთოლცვენა პირველი ეინვებისთანავე იწყება. იგი განსხვავებულიად მიმდინარეობს არა მარტო სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე მცენარეშიც. ასალგაზრდა, ავაღმეოფი, ან ხელოვნურ პირობებში მცხოვრები მცენარე უფრო კვიან ერის სამოსელს, ვიდრე ხანშიშესული, ჯანმრთელი და ბუნებაში მზარდი ინდივიდი.

შემოდგომობით სხვადასხვა ხე და ბუჩქი სხვადასხვანაირად ფერადდება; მათ კვერდით ზოგიერთი, მაგალითად, იასამანი, ძალიან დიდხანს რჩება მწვანე.

ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში ფოთოლცვენა მთავრდება. ფოთლოვან



წიფელი შემოდგომით

ტყეებში სივრცე საგრძნობლად დიდდება. ხალვათობასთან ერთად სინათლაც მატულობს. უფრო მკვეთრად იხატება წიწვოვანთა სიმწვანე; ფოთლოვანთა ნაცვენი ფოთლის მოზაიკით იფარება ნაძვნარის მოზარდი.

ტყე ფოთოლცვენის შემდეგაც მშვენიერია: წვნარი, სუფთა, დიდებული და იდუმალი. ზოგჯერ ოქტომბერშიც უღრუბლო, მზიანი დღეებია. თითქოს ხელასლა დაიწყო საფხული. და მხოლოდ დღის სინათლის შემოუბრუნებელი კლება და ტყის ფერთა სიჭარბე გვაუწყებს, რომ კარზე მოგვადგა შემოდგომა — ბუნებაში სიცოცხლის ჭკნობის ეს განსაცვიფრებელი დრო.




ჩიტატონა ნარზე

შემოდგომის ტოტავცვენა

ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ შემოდგომაზე რიგი სეებისა არამარტო ფოთლებს, ტოტების ნაწილსაც ვრის. ტოტებცვენა ასასიათებს ვერსეს.

გაისეირნეთ გვიან შემოდგომაზე ტუეში. დააკვირდით ნიადაგის ზედაპირს ვერსვის ქვეშ. თავდაპირველად, გარდა ნაცყენი ფოთლებისა, განსაკუთრებულს ვერაფერს დაინახათ. ხის ქვეშ, აქა-იქ, სხვადასხვა სიგრძის ტოტები ერია; ზოგი ფანქრის სეაა, ზოგიც — უფრო დიდი. ვერსვის ეს ტოტები ჯერ კიდევ ცოცხლებია. მათ სულ ასლახან დაცვივად ფოთლები. თითოეულის წვერზე მრავალწერიანი კვირტი ზის. თუ ფრთხილად გადატეხათ კვირტს, შეგნით ფოთლის ჩანასახს იპოვით. მღამეულ გაზაფხულზე ასეთი კვირტი ნორმალურად განვითარდებოდა.

რატომ აღმოჩნდნენ მიწაზე ვერსვის ცოცხალი ტოტები? რამ გამოიწვია მათი მსხვრევა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კარგად დაუთვალეოთო ტოტის ის ბოლო ნა-



ფოთოლი შემოდგომაზე

წილი, რომლიდანაც იგი ხეს მოტედა. საკვირველია, ხეზე მოტეხის ადგილი სრულიად გლუვია, მომრეკალებული, ხოლო ტოტის ის ადგილი, რომლითაც იგი ხეზე იყო მიმაგრებული, ქუდიან ლურსმანს ჰგავს. როგორც ჩანს, ხეს კი არ მოტედა, არამედ თავისით, განსაზღვრულ ადგილას განცალკევდა, რაც საესეებით ემსგავსება გაუვითლებული ფოთლების ცვენას. მაშასადამე, მცენარე ზოგიერთი ზედმეტი ტოტისაგან „შეგნებულად“ ითავისუფლებს თავს.

ამრიგად, მთრთოლავ ვერხვს არა მარტო ფოთლების, არამედ ტოტების ცვენაც ახასიათებს. ამ მხრივ ეს ხე ჩვენს ტუეებში ერთადერთი გამონაკლისი როდია. ტოტებ-ცვენა მეტ-ნაკლებად ახასიათებთ: მუხას, თელას, ზოგიერთ ტირიფსა და ვერხვის სხვა სახეობებსაც.

მცენარეების ტოტებცვენა უფრო მეტად შეიმჩნევა ხნიერ ასაკში. ხეების ცოცხალი ტოტების ჩამოცვენის დანიშნულება იგივეა, რაც ფოთლებისა.

მუხა შემოდგომაზე

მუხის ცნობა კვიან შემოდგომაზე და ზამთარშიც ადვილია. აბა, მისი გოლიათური ზრო და დიდებული ტოტები რომელ სხვა ხეში შეგეშლება. მსხვილი, შეფერადებული ფოთლები ხეს თითქმის თოვლის მოსვლამდე, იმეითად, შემდეგაც რჩება.



მემოდგომის ტყის ხალიჩა

ბუნა ნაოფს — რკოს ეოველ წელიწადს ისხამს. რკო ხეზე შემოდგომამდეა, შემდეგ კი მიწაზე ცვივა. თითოეულ რკოში ერთი მსხვილი თესლია. გაზაფხულზე თესლიდან ახალგაზრდა მცენარე აღმოცენდება.

შემოდგომობით რკოს ბევრი მოკვარული ჰეავს: გარეული ღორი, ჩხიკვი, ციუვი, თაკვი.

ტყის ცხოვრებაში რკოს ცვენა კვიანის შემოდგომის ერთ-ერთი მოვლენაა. მუნა აბნეფს და თესავს რკოს მამინ, როდესაც ეველა სხვა მეზობელ ხეს ფოთლები დიდი ხანია ჩამოცვიოდა. რკო სიდან სათითაოდ და გაჭიანურებულად ცვივა. მიწაზე ტეაპანით, კენჭის მსგავსად ვარდება. ჩამოვარდება და დაიმალება ფოთლებში...

ჩვენი ხეების უმრავლესობას ჰატარა, მსუბუქი, ზოგჯერ მფრინავი თესლი აქვს. ასეთი თესლი სხვადასხვა საშუალებით ადვილად ვრცელდება. მუნას კი — პირიქით,



მუხის რკო

მსხვილი და მძიმე რკო უშუალოდ ხის ქვეშ ცვივა და არსად არ იხნევა. რკოს თვისებებიც უნეულო აქვს. შეადარეთ იგი თუნდაც ბარდას თესლს და მაშინვე იკრძობთ განსხვავებას. მწიფე ბარდა — მშრალი, მაკარი, თეობით შეიძლება იდოს და აღმოცენების უნარს არ დაკარგავს. რკო კი მწიფე მდგომარეობაში საკმაოდ ბევრ წყალს შეიცავს. ამიტომ მისი ლებნებიც ეოველთვის ნესტიანი და ელასტიკურია. საკმარისია რკო ოდნავ შესმუს, მაშინვე კარგავს აღმოცენების უნარს და თესლად უვარგისია. ამიტომ მისი შენახვა შესაძლებელია მხოლოდ ტენიან კარემოში. რკოს ეინეისაც ემინია. აი, რამდენი მოულა სჭირდება რკოს. კარდა ამისა, იგი უნდა დაეიცვათ მღრღნელებისაგან, გამოშრობისაგან, სიცვიისაგან, თანაც ზედმეტიც არ უნდა მოგვივიდეს, თორემ დალუბა. ამისათვის მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში მოთავსებულ რკოს გასაფხულამდე ზოგჯერ გამდინარე წყლის ფსკერზე ინახავენ.



ნამეხარი მუხა კომპორზე

ბარძუმანი

რიონისპირ ბერმუხები ბერეკაცებივით იდგნენ,
მე მათ წინაპრებად ვთუღიდი, მკონი ამუთბდნენ კიდეც.
ზოგი მეციხოვნე იყო, ზოგი გუთნისდედა ალბათ,
მათ ჩრდილებში გაგვიშლია ჩვენი ღარიბული ტაბლა.
მერე სამარგელში დადლილთ, ჩრდილშიც გვიპინია ხშირად,
ჩვენი წინაპრების ზრუნვა ტანზე წაგვიხურავს ჩრდილად.

რიონისპირ ბერმუხები ვინაც ამოთხარა, მოკლედ,
იმ რეგვენმა ხელმეორედ ჩვენი წინაპრებიც მოკლა...

შოთანიანიძე



ცივი კაკლის ნაოფით

ხეკეთილი და საჩრდილობელი

ჩვენში კაკალს — ამ მამაპაპურ კულტურას — ხეკეთილსა და საჩრდილობელს უწოდებენ. კაკალი საქართველოში ოდიოგანვე სიმტკიცის, სიუხვისა და მარადიულობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ამიტომაც მტერი ვაზთან ერთად კაკლის ხესაც ჩესავდა.

რატომ უწოდებენ კაკალს ხეკეთილს? მის ნაოფს მრავალნაირად იეწებებენ. უწინარესად იგი მვირფასია, როგორც საკვები, კერძების საკმაზი, მისგან აკეთებენ სხვადასხვა ტკბილეულს, მავალითად, გოზინაუს, ჩურჩხელას. შესანიშნავი არომატი და კემო აქვს მის ზეთსაც. ამიტომ წარსულში ნიგოზი ქართველებისათვის ცხოველური წარმოშობის ცხიმების — კარაქის, ერბოს, ქონის შემცველ მირითად პროდუქტს წარმოადგენდა. კაკლის ნაოფში 60-75 პროცენტი ცხიმია. გარდა ამისა, ნაოფში დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა ვიტამინი. კალორიულობით ერთ კილოგრამ ნიგოზს შეუძლია

მეცვალს 8 კილოგრამი ჰური, 7 კილოგრამი კარტოფილი, 1 კილოგრამი ხორცი, 15 კილოგრამი რძე. 20 ცალი კაკალი აკმუოფილებს ადამიანის სადღეღამისო მოთხოვნილებას ცილებსა და ცხიმებზე. ამიტომ იუო, რომ ქართველი გლეხის კარმიდამოში თითო-ოროლა კაკლის ხე აუცილებლად შრიალებდა. თავად განსაჯეთ: თითო ძირი სრულმსმოიარე ხე საშუალოდ 120-200 კილოგრამ ნაოფს იძლევა. თავისი კვებითი ღირებულებით ერთი ძირი კაკლისაგან მოწყული მოსავალი ტოლფასოვანია 600 კილოგრამი ჰურის, 720 კილოგრამი საქონლის ხორცის, 1000 კილოგრამი ქათმის ხორცის, 2000 კილოგრამი რძისა და 200 კილოგრამი კარაქისა.

კაკლის მერქანი საუკეთესო მასალაა, განსაკუთრებით ავეჯისათვის. მისი ფოთლებისაგან ამზადებენ შავ საღებავს, კაკლის ზეთს იეენებენ ჰოლიერაფიასა და სანის წარმოებაში, ფოთლებისა და წესგოს ნახარშს — ხალხურ მედიცინაში.

მემოღგაის ტოს ინტერიერი





შემოდგომა წაბლნარმა. შდინარე ჰანისის სეობა;

კაკლის ხე იშვიათი სიღამაზისაა. აქეს მოთეთრო-რუხი ფერის სრო, უსარმასარი ქორბუდა ვარჯი, სიმაღლით თითქმის ოცდაათ მეტრამდე იზრდება. ამიტომ ამშვენებს იგი ოდა-სახლებს, აუცილებლად ხარობს ვაზის ზერის თაუში ან ბოლოში, მხენელ-მთესველისთვის უკეთეს საჩრდილობელ ხეს ვერც ინატრებს კაცი.

ამიტომაც იყო, რომ ესოდენ დიდ ჰატივს შიაკებდა ხეთა შორის გამოჩნეულ ხეს ქართველი კაცი. კაკლის კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერად საქართველო ითვლება. ვაზისა და ხორბლის გვერდით ჩვენმა წინაპრებმა გამოიყვანეს ამ მცენარის საუკეთესო თვისებებით შემკული ჯიშები: უხვმოსავლიანი და თხელნაჭუჭიანი.

სათანადო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ისტორიულ წარსულში კაკალი ბუნებრივად იზრდებოდა ჩვენს ტყეებში. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი, აბორიგენულია. კაკლის ხე აქამდე ველურად სარობს შუა აზიაში, ირანში, ჩინეთში, ინდოეთში, ავღანეთში, ბალკანეთსა და სხვაგან.

ქართული კაკლის მეირფასმა თვისებებმა განაპირობა შორეულ თუ ახლო წარსულში მისი მტაცებლური განადგურება.

1982 წლისათვის კაკლის ნარგავებმა რესპუბლიკაში 905 ათას 800 ძირი შეადგინა. როგორც საბჭოთა და საკოლმეურნეო მეურნეობებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე წლიურად მოჭეავთ 500 ტონა კაკალი. კაკლის მოვლა-მოშენება და მისი ნუოფის წარმოება ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს. მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 18-20 ათასი ტონა კაკლის წარმოება.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს დუშეთის რაიონის ასალგაზრდებმა. მათ გადაწყვიტეს გააშენონ 40 ათასი ძირი კაკლის ხე. ეს რაიონის ეოველ მოსახლეზე თითო ხეს ნიშნავს. დუშეთს ამ მამამვილურ წამოწყებას ეოველმხრივ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, იგი მთელმა საქართველომ აიტაცა. გადაწყვეტილია: ჰლანტაციების, ტყე-ბაღების, გზის ჰირების გასწვრივ დაირგოს და გაიხაროს ორნამენტუარმა მილიონმა ძირმა კაკალმა.

ქართველი ასალგაზრდობის ინიციატივით ჩვენში არაერთი სიკეთის, მამულის სიეარულის ნერგი დარგულა. აქორჩილ ტყეებად და მწვანე ხეივნებად შრიალებენ დღეს ისინი.

ამ სამომავლო, სამვილიშვილო საქმეში დიდი და საპატიო წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს და აი, შედეგიც, გურჯაანის რაიონის გზის-ჰირებსა და ხალოლო-სამეურნეო სავარგულების გაუოლებით მასობრივად მიმდინარეობს თუთის ხის გაშენება, რაც ხელს შეუწეობს უმეირფასესი დარგის-მეაბრეშუმეობის განვითარებას; სილნაღლეებმა მთის ფერდობებზე, გზის ჰირებზე უსარგებლო ბუჩქნარების ნაცვლად ასობით ჰექტარი ბროწეული გააშენეს; საგარეჯოელებმა ქვა-ღორღით მოყენილ ფერდობებზე, გზის ჰირებზე უსარგებლო ბუჩქნარების ნაცვლად ასობით ჰექტარი სასარგებლო მცენარეულობა გაახარეს; დასავლეთ საქართველოს ბეერ რაიონსა და სოფელში ნაკლებად ნუოფიერ სავარგულებსა და გზის ჰირებზე აშენებენ ტყემალს და სხვა კურკოვნებს. საინტერესო ინიციატივა გამოავლინეს ლაგოდეხში, მცხეთაში და ა. შ.

ქართველმა ასალგაზრდებმა ამით კიდევ ერთ დიდსა და ფასდაუდებელ საქმეს ჩაეარეს საფუძველი.



ხარირეში უვირილობისას

მევირალობა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტუეები გადიურმისა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის უვირილი ირმისა.
— რასა ჰვეირიან ირმები,
ეორანმთას უარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტეაუს ტუეიასა...

ხარი ირეში ფურს ექებს,
მთაში ნასუქი ღიჭითა;

ქაფსა ჰერის გადაკარული
ეკლებითა და სიჭვითა.
თავი ანება ცალისთვიის
იალაღების მწვანესა,
მოამტერევეს რქების ლაწანით
ჩალას, ტუეს, ლერწმოვანებსა.
დამტერებული ჯოგები
მორბიან თავდავირანი,
ხარი ფურს ექებს ღრიალით,
მე სიეკარულსა, მევირალი.

გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი მ ე

უთხოვარი

უთხოვარი წიწვოვანი მცენარეა, მაგრამ ნაშვის, ფიჭვის, სოჭისა და სხვებისაგან ერთი თავისებურებით განსხვავდება: გირჩებს არ ივითარებს, სათესლე კვირტები კი მოკლედ ეუნწების უბეებში სხედან. უთხოვარი არც ფისოვან ნივთიერებას გამოყოფს. ბუნებრივად კავრცელბულია კარპატებში, ეირიმში, კავკასიასა და ბალტიისწირეთში. წარსულში მისი არეალი კაცილებით ფართო იყო, ამჟამად თითქმის მთელ ევროპაში ხელოვნურადაა აღდგენილი.




უოსოვარის წმინდა კირიმი ბაჟარის ხეობაში

მერქნის სიმაკრისა და მოწითალო ფერის გამო უოსოვარს ანუ ურთხელს სხვა სახე-
ლებიც აქვს: „წითელი სე“, „უღამპალი“. წყალში არ ლბება, რამდენადმე ფერს იცვლის.
სწორედ ამ თვისებების გამო იგი გამოიყენებოდა სააუჯო საქმეში და მეტოქეობას
უწედა თვით სახელკანთქმულ ბრასილიურ წითელ ხეს. ამჟამად (მცირე რაოდენობის
გამო) არაერთი სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს.

უოსოვარი ფრიად კამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ, მას ვერაფერს აკლ-
ბენ მანეე მწერებიც. იმის გამო, რომ წიწვები და ელორტები შეიცავენ შხამიან
ნივთიერებებს, ხის ამ სახეობას არ ეტანებიან ჩლიქოსანი ცხოველები. ეველა სხვა
ხაუკეთესო თვისებებთან ერთად, უოსოვარი შეუდარებელია საპარკო მეურნეობაში: მარად-
მწვანეა, ლამაზი წიწვებითა და მოწითალო, იშვიათი სილაპაზის ნაოფით.

ნიკო კეცხოველის მიხედვით. საქართველოში უოსოვარს ქალებს მზითვად ატანდნენ
ვენახის ჭიკო-სარად. ასეთი ჭიკოები ას წლ მდე ძლებდა. უოსოვარისგან აკებული ოდა-
სახლი სასახლედ ითვლებოდა. მორებს იეენებდნენ ეკლესიების მშენებლობაში, ვხედებით
400-500 წლის წინათ ნაგებ ციხეებს, რომლებსაც დატანებული აქეთ უოსოვარის ძელი.
უოსოვარი ზუსტად ამ თვისებებმა მოსწო ან მინიმუმამდე დაიყვანა მთელ მსოფ-
ლიოში და ჩვენშიც. ამჟამად იგი ეველასე კარკად საქართველოშია შემორჩენილი.



უთხოვრის ნაყოფი

კასეთში, ძდინარე ალაზნის სათავეებში, ზღვის დონიდან 1100 მეტრზე ბუნებრივად იზრდება უთხოვრის კორომი. ამის გამო ბაწარის ხეობის 700 ჰექტარი ფართობი ნაკმაღადაა გამოცხადებული. ხალხის კადმოცემით ეს კორომი იმიტომ კადარჩა, რომ „ანკელოზას“ ხედ იყო გამოცხადებული. ბაწარში მოსარდი ზოციერთი უთხოვარი 1800 წლისა, კორომის საშუალო სნოვანება კი 700-800 წელია.

უთხოვარი ერთ-ერთი ექვლაზე დეკრპელი ხეა, ცოცსლობს 4 ათას წლამდე. ინგლისში, კენტის საცრაფოში ხარობს 18 მეტრი დიამეტრის ხე. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მისი ასაკი 3 ათას წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. როდესაც ბრიტანეთი იულიუს ცეზარს დაუბერია, ეს უთხოვარი ჯერ კიდევ მაშინ ეოფილა მეტად დატოტვილი. ინგლისური კადმოცემით, რობინ ჰუდი და მისი თანამებრძოლები ამ ხისა და ზოციერთი სხვა უთხოვრის ტოტებისაგან დამზადებული მშვილდისრებით იყენენ შეიარაღებული.

უთხოვარი ძალიან ნელა მზარდი ხეა. 1000 წლის ხეები აღწევენ მხოლოდ 28 მეტრ სიმაღლესა და 130 სანტიმეტრ დიამეტრს. ამ სნოვანებამდე წიფელს ჩვეულებრივი ზრდით რომ ეცოცხლა, 200 მეტრი სიმაღლისა და 6 მეტრი დიამეტრის ხედ კაიზრდებოდა.

წახლი

კემრიელი ნუოფის გამო წახლს ეველა კარგად იცნობს. საქართველოში წახლი ძირითადად ეკარცელებულია დასავლეთ ნაწილში, უხვდებით კასეთში, დიდი კავკასიონის კალთებზე, მცირეოდენს — ბორჯომის ხეობაშიც. წახლი ძირითადად სუფთა კორომებს — წახლნარებს ქმნის, უმთავრესად კი ტეის სხვა კორომებში — მუხნარებში, რცხილნარებსა და წიფლნარებშია შერეული.

წახლის მერქანი მაგარია. დაშუშაუების შემდეგ იგი მეტად ღამაზია. ამის გამო დასავლეთ საქართველოში დღემდე ხშირად უხვდებით წახლის მასალისაგან ნაგებ ოდასანლებს. ძელქვის მსგავსად, ასეთი სახლები საუკუნეებს უძლებს. წახლის მერქნისაგან ამზადებენ მალალი ხარისხის ავეჯს, ხის ჭურჭელს და სხვ. წახლს დეკორატიული ღირსებებიც აქვს. იგი ნორმალურ ჰირობებში აღწევს 35 მეტრ სიმაღლეს, ხოლო ხისქით — 1,5-2 მეტრს. გამოირჩევა დღეგრძელობითაც — 500 წლამდე ცოცხლობს.

წახლის ნუოფი საუცხოო საკვები ღირებულებით ხასიათდება: მისგან 160-ზე მეტი სხვადასხვა მკირფასი საკვები მზადდება. ნუოფი ზის მომრგვალო ბუდეში; იგი ნემსების მსგავსი კვლებითაა მოფენილი და პატარა ზღარებს მოკვავანებს.

ნიკო კეცხოველი აღნიშნავს, რომ იმ ტეეს, სადაც წახლია გავრცელებული, ბალით უნდა მოუწეროთ. მისი ნუოფი ღირსებით არც ერთ ბაღში მოყვანილ ხილსა და კაკლოვანზე ნაკლები არ არის.

ჰაში მოსცენებისა

ოქტომბერში ჩვენებური შემოდგომა სრულ სიმწიფეში შედის. სუფთა და გამჭვირვალეა შემოდგომის მზიანი დღეები, ზაგრძნობლად მატულობს ღამე.

ფერადი სამოსით შეიმკო ბუნება. სადღესასწაულო იერი გადაჭრავს მთას, შეფერადდა მუხსა, ჩუვითლებულმა ფოთლებმა კიდევ უფრო მომხიბლავი გახადა მთითო-ლავი ვერსვი, ბაჯადლო ოქროსფერად შეიფერა გიგანტური წიფელი, მეწამულ ფოთლებში ჩამირულა იელი და ცირცვლის შეწითლებული ნუოფი, აქა-იქ ციცხლის ალბად ანთებულან თეთრტანინი არუები, ნეკერჩხლები. ოქტომბრის ტეე — ეს ცისარტყელას ეველა ფერში კარდამავალი ფერების ჭეშმარიტი ზეიმია. ვერც წვიმას, ვერც დილის ნამსა და ღამის სუსხიან თრთვილს ვერ ძალუძთ გაანელონ შემოდგომის ფერთა ელვარება.

ბუნების უხილავი ძალებით გამოწვეული ფერთა ცვლა მხოლოდ წიწვოვან მცენარეებს არ ესება. ბოლომდე ინარჩუნებენ მწვანე სიმშვიდეს ფიჭვები, მალაქიტისფერი ნაძვები და სოჭები. მარადიულ მწვანე საბურველში გასხვეულა ასევე კავკასიური როდოდედრონი — ღვება.



წიფლები შემოდგომს და მიწვრულს

დიდ კავკასიონზე სშირად ნაადრევად მოდის თოვლი. ბუნება ვერ ასწრებს შემოდგომის მორთულობიდან ზამთრისასკე კადასკლანს. არაბიკასა და ავადჰარას, უშკულისა და შსარას მაღალმთიანეთში თოვლის წინამორბედა უდროულამ შეტკნობაც ვერ მოასწრო, რომ თოვლმა მუხლებამდე დაფარა სალი კლდეები და ზვიადი სეობები.

საოცრად მშვენიერია ალაური უდროულა — ერთდროულად გასაფხულისა და ზამთრის ჰირველი მასარობელი. შემოდგომასკე სად არ შეკვსვედრია სხვადასკვა ფერისა და



კენელს ნუფუბი

ფორმის ეს ნასი მკენარე. ლეიარდემი, ვერტიკალური სარტყლების ძიხედკით, იგი სამფერია: მაღალმთის ტეის ზონში — მოიისკრო-ლურჯი. ტეისა და სუბალპერა ზონის საზღვარზე — ნარინჯისფერი, ალპურში — სწილილსმკლასიყერი. რომელი უფრო ლამაზია? ვინც ოქტომბერში სამეგრელოში, კერძოდ, რახანქუეს მთებში მოხუდრიღა, ჰირფელოას უეუმანოდ ნარინჯისფერ უდროულას მიანაჭედა.

ღამ-ღამობით შემოდგომის მშვიდი ცა გაცილებით მეტი ვარსკვლავებითა მოჭედელი. წლას ამ დროს ვარსკვლავები თითქოს უფრო ახლოა ჩვენთან, უფრო მკაფიათა მათი ციმციმი...

ოქტომბერში კრეფენ ტეის ხილს: მავალოს, ჰანტას, ტეუმალს, ზღმარტლს, ასკილს, სამკურნალო ფლორას — ღვიის, ქაცვის, წითელი და შავი მავკვის ნუოფს, ბეერი სხვა მცენარის ქერქსა და ფეხს მრავალი აუადმოფობის განსაკურნებელი იუენებენ.

კრძელებს ნადირთა სწამირთა მორთულობაზე ვადანკლა. ციევი მსუბუქ, მო-

ვაეისფრო ბეწვს თბილ მოცისფრო-რუხ ქურქზე ცვლის. სამთრის უაღრეს ირთვებიან მელა, კურდღელი და სხვ.

თუესებიც ემზადებიან სამთრისათვის. სექტემბრიდან, როგორც კი წყალი გაცივდება, კობრი, ნაფოტა, ქორჭილა, ლოქო და სხვები ფსკერზე ემუებიან, ზოგიერთი ლამშიც ეფლობა.

სილულად თუ მალულად, დღისით თუ ღამით, გუნდებად თუ ერთეულებად მდინარიდან მდინარემდე, ტუიდან ტუემდე, მთიდან მთამდე მიფრინავენ მიმომფრენი ფრინველები. მიფრინავენ ჩრდილოეთიდან ეკვატორამდე, აფრიკაში, ასევე ინდოეთისა და ბირმის ბრინჯის უანებისაკენ. კვტოვებენ ჟღურტულა მერცხლები, მგალობელი შოშიუბი, ღულუნა მტრედები და გვრიტები, საჰაერო ნაოსნობის დიდოსტატები — გველები, წეროები, ეარუატები, გარეული ისვები და ბატები. ფრთოსანი მოკზაურებს დიდი და მწელი გზა ელით — ზღვები, ოკეანეები, უდაბნოები.

კეთილი ფრენა ვუსურვოთ მათ. დავეშვიდობოთ განაფხულამდე!..

მთროლაჰი ვირხჰი

მომხილავია მალალი, ტანწერწეტა ვერხვი. კიდევ უფრო მიმხიდეელია მისი მთროლაჰი ფოთლები, რომლებიც საფხულის ეველასე წწარ ამინდშიც კი ცახცახებენ. მწვანე, მეჭვჭვანი ქერქით შემკული ხეები ცოცხალ არსებებს მოგვაცოცხებენ. ისინი თითქოს ჩურჩულით ესაუბრებიან ერთმანეთს.

ნაცვნი ფოთლების ხალიჩითაა მოფენილი მიწა. ხალიჩასე აქა-იქ თავი ამოუვლიათ ნაბოლარა წითელქუდა სოკოებს. იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ სარობენ ტუის ნაკვიანევი ევაილები.

ბებერი ვერხვის ფულუროებში გამოსასამთრებლად ემზადებიან ფრინველები, მარაკს იმზადებენ ციფეები. ახალგაზრდა ვერხვის ქერქით იკვებებიან კურდღლები, შულები და ირმები.

იშვიათა ვერხვის ტუე... ჩვეულებრივ იგი ტუის სხვა ხეებთან: არუთან, მალალმთის მუსასთან და სხვებთან ერთად იზრდება. ზოგჯერ, ალაგ-ალაგ, მთროლაჰი ვერხვის მრავალრიცხოვან ოჯახს ვხვდებით. რამდენიმე ხე ხშირად ერთი მცენარის ფესვებიდან იზრდება.

ვერხვით მდიდარ ტუეში სიცოცხლეც მრავალფეროვანია. დიდიდან საღამომდე, ღამითაც კი არ წყდება აქ ნადირ-ფრინველთა საქმიანი ფუსფუსი.



მართი წელიც გაზრენილა

საით მიხვალ, შემოდგომაჲ,
შენი ჭრელი ქარებით,
ფოთოლ-ფოთოლ, ფეხაკრუფით
საით მიიპარებ?

ვიცი ერთხელ გათენდება
და უშენოდ დარჩენილს
გაძარცვეულ ბაღს გაანათებს

დათრთოილული ფარსკები.

სუსხიანი ზამთრის სუნთქვა
ფანჯრის მინებს დაორთქლავს,
მიჭირს შენთან განშორება,
დარდის სიტყვით ამოთქმა...

კ ი ვ ი ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი



„საით მიხვალ, შემოდგომაჲ...“

მორთოლავი ვერხვის კორამი გვიანა შემოდგომათ

საკმლის ხე

საკმლის ხეს — კევის ხეს, ფსტასაც ემახიან. ნიკო კეცხოველი აღნიშნავს, რომ ვაშლოვანის ნაერძალში საკმლის ხის ნათელი ტეე ერთ-ერთი და, შესაძლებელია, ერთადერთი უნიკალური ნაკვეთიანია საბჭოთა კავშირში.

ერთმანეთისაგან 15-20 მეტრით დაშორებული, ბურთისებური ვარჯის მქონე საკმლის ხის ტეე კარგუნულად ხელოვნურად გაშენებულ ვაშლის ბაღს მოგვაცოცხლებს. ალბათ, სწორედ აქედან წარმოდგება ხალხური წიაღიდან წარმოქმნილი ნაერძალის მიღამოების ტოპონიმიკაც — „ვაშლოვანი“.

საკმლის ხის ვარჯი სშირად იმდენად ძლიერად ვითარდება, რომ ზოგჯერ ხის ზროც კი აღარ ჩანს. ოვალურ გუმბათად შეგრული, ერთმანეთში გადასლართული ტოტები მიწამდეა გართხმული. ერთმა ეურნალისტმა დიდებული საკმლის ხე ინდურ ვიკვამს შეადარა. მართლაც, ზოგიერთი ეგზემპლარი იმდენად გიგანტურია, რომ მის ქვეშ თავისუფლად მოთავსდებოდა ინდიელთა მთელი ოჯახი.

საკმლის ხეს არაერთი მერყასი თვისება აქვს. ეურმნის მტევნისებურ მის ნაყოფში გვიან შემოდგომაზე საკმაო რაოდენობით შუარი გროვდება. ნაყოფი აგვისტოში მწიფდება, მცენარეთა ერთ წეებს ნაყოფი შეფერილი აქვს ღია მწვანედ ან ევითლად, ხსეებს — ნარინჯისფრად, წითლად ან ვარდისფრად. ნაყოფით დასუნძმული 400-500 წლიანები განსაკუთრებით შთამბეჭდავები სწორედ წლის ამ დროს არიან. ნაყოფის მწიფობა ერთ თვეს გრძელდება. ამ დროს ნუგბარი საკვებით კანცხრომას ეძლევიან გარეული ღორი, მაჩვი, ფრინველები და მღრღნელები, ათასი ჯურის მწერი და თვით მტაცებლებიც — მკელი და მელა.

საკმლის ხის ნაყოფს ეველაზე საინტერესოდ გარეული ღორი, განსაკუთრებით, ტახი მოიპოვებს. თუ ტოტები მიწამდეა ჩამოწეული, მტევნის დაუფლება ძნელი არ არის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ადვილად მისაწვდომი ნაყოფი გამოილევა და აი, სწორედ ამ დროს ასდენს თავის შესაძლებლობათა დემონსტრაციას ბებერი ტახი. ნადირი უკანა ფესებზე დგება, წინა ფესებით ხეს ეურდნობა და ძლიერი, სანჯლებივით დაშიშვლებული ეშვებით ელვისებურად, ბალახის ღეროსავით მოცელავეს მკლავის სიმსხოღეროებს. საკმლის ხის ღერო კი სიმპერით ფოლადს არ ჩამოუვარდება. ტოტები ძირს ცვივა და ტახიც თავის სტიქიამია. ცოტა ხნის შემდეგ მამღარი გოლიათი ტოვებს ნასუფრალს. ახლა მას მდედრები და მოზარდები ამთავრებენ. ამ მცენარის მერქანი ხაოცრად მაგარი და მკერივია — ხის ნაჭერი წეალში ადვილად იძირება, დაღობისას კი ნუახი წერიალებს.



საქმლის ხე კაპლანის ნარბაზში

მნელია საქმლის ხის ნიადაგდაცვიოთა როლის შეფასება. ისრდება აიი უნუიოვრ, მკურამ თაბაშირით მდიდარ ნიადაგზე. მზე ისე აზობს მიწას, რომ კვალისაგან დამსკდარ ნაზრალეებში კაცს ფეხი ჩაუვარდება. საქმლის ხე კი არსეინად დგას, კბალ-ღებულ-გადაფურჩქნილი. ჭარბი სიმწყანით გასხივოსნებული მიხი ფოთლები მხსნედ და ცოცსლად გამოიურებიან. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ხეს თვეების განმავლობაში წვი-მისა თუ დილის ნამის ერთი წვეთიც კი არ მოხვედრია.

გამოკვლევებმა ცხადო, რომ საქმლის ხე კვალისანობისას ნიადაგიდან ღებულობს დიდი რაოდენობის ტენს. სეზონში ერთი ხე საშუალოდ იუნებს 15-20 ტონა წვალხ. უნებლიედ იბადება კითხვა: ამ გაუდაბურებულ ადგილებში საიდან მოიპოვებს მცენარე



დასა მდინარე მტკვარზე მესხეთში


ამდენ წუალს? ხელმისაწვდომი ტენის ძეხნაში საკმლის ხის ფესვები მოდებული არიან 40-50 მეტრი რადიუსით, შესაბამისად, მათ „ტყეობაში“ ორი ათასი კუბური მეტრი ტუნტია. სწორედ ამიტომ ცხოვრობენ საკმლის ხეები ერთმანეთისაგან დაშორებით.

თავისი ძვირფასი თვისებების გამო საკმლის ხეს არაერთი „პროფესია“ აქვს. შუა აზიაში ხარობს ამ ხის ძალიან ახლო სახეობა — საღსაღაჯი. კვების მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება მისი ნაოფი. ამ ნაოფისაგან დაშადებულ ცხიმს (იგი შეიცავს ადილადად დნობადი ცხიმების სამოც პროცენტს) შეუცვლელად იყენებენ რიგი ტექნოლოგიური პროცესების დროს. მცენარის ფიფი იხმარება საუკეთესო ლაქის დასამზადებლად. სწორედ ამ ბლანტი მასის უხუდად შემცველობის გამო უწოდებენ მას აგრეთვე კევის ხეს. საღსაღაჯისაგან ამზადებენ მდგრად საღებავს ხალიჩების წარმოებისათვის, მთრიმლაუ ნიუთიერებებსა და სამედიცინო პრეპარატებს. მაგარი მერქნისაგან ამზადებენ ათასგარ საოჯახო საგნებს; იგი პრესჰექტიულია მშენებლობაშიც.

გველა ამ ძვირფასი თვისების გამო თურქმენეთში, ქოფეთდაღის მთის კალთებზე, დაიწვეს ტერასული მეთოდით საღსაღაჯის ხელოვნური დარგვა-გამენება. დღეს იქ ასობით ჰექტარზე ახარებენ არიდული ტენის საოცრებას საღსაღაჯს. ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საკმლის ხე საქართველოშიც.

ღვია მშენიერი დეკორატიული მცენარეა. ზოგიერთი ბურთივით შეკრულია, ზოგ-საც ჰირამიდის ფორმა აქვს. შემოდგომის მიწურულს ადამიანის თვალი ისვენებს ღვიის პარადიულ სიმწვანეში.

მაგრამ საქმე მხოლოდ სილამაზეში როდია, ღვია სასარგებლო მცენარეცაა. ღვიიანი — ეს ჯანმრთელობის ბუნებრივი ლაბორატორიაა. მცენიერებმა დაამტკიცეს, რომ დღე-ღამეში ღვიის ერთი ჰექტარი ოცდაათ კილოგრამამდე მთრიმლავ ორგანულ ნიუთიერებებს — ფიტონციდებს გამოყოფს. ფიტონციდების აღნიშნული რაოდენობა კი



სემაგვარი ღვია ვაშლოვანის ნაკრძალში

საკმარისია დიდი ქალაქის ატმოსფეროს ბაქტერიებისაგან გასაწმენდად. საოცრად მდგრადია ღვიის კვიპაროსისებური არომატი.

ღვია სამკურნალო მცენარეცაა. მის ნაოფს უსსოვარი დროიდან იეენებენ ხალხურ მედიცინაში. კენკრისებური გირჩები ზირველ წელიწადს მწვანეა და მხოლოდ მეორე წელს მწიფდება. მწიფე ნაოფს სექტემბერში შავი ფერი აქვს, ნაოფი უხვად შეიცავს ეთერზეთებს, ფისს, ვაშლის, ძმრისა და ჭიანჭველამჟაუებს, ასევე სხვა ნივთიერებებსაც. ღვიის ნაოფს ფართოდ ხმარობენ სამკურნალოდ, მისი ნაოფით იკურნება: მალარია, რევმატიზმი, ნერვული სისტემის მოშლილობანი... სამკურნალო თვისებების შემცველია მისი ნაენები, ექსტრაქტები, ფხვნილები.

საინტერესოა ისიც, რომ გირჩა იმდენსავე (42 პროცენტ) შაქარს შეიცავს, რამდენსაც ვურძენი. ღვიის შაქარი — ფრუქტოზა — ერთნახევარჯერ უფრო ტკბილია შაქრის ჭარხალზე. ზოგან მას წარმატებით იეენებენ მეღვინეობაში. ღვიის ზროსაგან დამზადებულ ჭურჭელში ძალიან დიდხანს ინახება რძე. სიცოცხლის ხანგრძლივობით ღვია საკმლის ხეს არ ჩამოუვარდება. არცთუ იშვიათად შესვლებით სამას-ხუთასწლიან მცენარეებს.

ნოემბრიდან მოყოლებული, მთელი ზამთრის განმავლობაში საზრდოობენ მისი ნაოფით კაკაბი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ბუ, ზარნაშო, შაში და ჩხართვი. გირჩა ნადირთათვის ზამთრის დიეტური საკვებიცაა. მისი ნაოფით სარგებლობენ გარეული ღორი, დათვი, ძელა, ძეგლი. ღვიას ვეეღგან ვხვდებით. მისი სხვადასხვა სახეობა ხარობს მთამაღალშიც — აღაურ ხარტეელსა და ნახევარუდაბნოების ნათელ ტეეებში.

* *
*

ღობეზე კვამლის ნაფლეთი დარჩა,
თუ ფრთას ისწორებს ჰატარა ეანჩა?
ასჯერ წვიმისგან ჩარეცხილები,
შებოლილები ასჯერ ბოლისგან
ნამწკრივებულან ჩაღის ზვინები,
როგორც კარეები შემოდგომისა,
ცხუნებულა მინდვრების ფარჩა,
შემორღვევია ეანას ჯებირი,

აი ცალ ფეხზე შედგება ეანჩა,
ფრთებს ამოიჩრის ევარჯნევიით.
ცვივა ფოთლები...
და შემფოთებით
მზის ევითელ შუშებს ამსურევეს ცის სარკე
და შემოდგომა ქარის შოლტებით
ჩიტებს მიღენის სამხრეთისაკენ.
შოთანიშნიანიქე

სოფლის სურათი

გაიტენება სეობა ნისლით,
ეს სექტემბერი უდღეღამოა —
თანაბრად ბნელა ღამით და დღისით —
აღარ გგონია თუ მზე გამოვა.
და უცბად, ღრუბლის ლაშქარი შავი
კაიქენება — ცა წითლად ღვივის,
„მზემ სეობაში შემოკო თავი,

ადექით!“ — შტოზე ჭივჭავი ჭვივის,
მაგრამ ვინ ადგეს — ოთხმოცი ფუთი
თითქოს ქვა ადგეს! საუღართან ვდგავარ.
მსიარულ ფერებს ორიოდ წუთით
კვანუქებს მზე და სელახლა ჩავა...

მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ქ ე

მესაღლიძის ნებისა (სეძო რაუა, სოფელი დები)



პართული უამოღვომა

საქართველოში შემოდგომა ზირველად მთას შუელებს კარებს — ზოგან ადრე, ზოგან — მოგვიანებით.

თუშეთის ცალკეულ სეობას შემოდგომის სტუმრობის თავისი კალენდარული ვადები აქვს. იგი რამდენიმე დღით ადრე ჯერ ზირიქითი ალანზნის სეობას მიაკითხავს, შემდეგ კომეწარს, და ბოლოს, ზირაქეთი ალანზნისა და ჭანჭანოვანის სეობებსაც თავისი ფერებით მოხატავს.

ერთსეულ, შემოდგომის ზირს, კარავი ზირიქითის სეობაში, სოფელ ფარსმასთან დავდვით. სექტემბერმა ნანსოფლარ ჭონთიოდან, ვიდრე სოფელ დართლომდე, სულ მორიგეობით ჩამოარიცა თავისი ოქროსფერი ბაირაღები. სოფლის წინ, მდინარის კაღმა ერთი ფრიალო კლდვა აღმართული. არუის ტუე კლდემდე ვედარ აღწევს, საკმაოდ ქვემთ მთავრდვა. მას ქუჩის მდელოები და ამ მდელოებზე ამოსრდილი ღვიის ბუჩქები ცვლიან. კლდის მოშიშვლებულ ფერდობებზე ღვიები კლდეებს დედაქანებად შეზრდიან. მთის კუნთმაგარ სხეულს ღვიის უფრორე შიშველი, თუთრი ღერო-ტოტები ბარღვებივით ემჩნევა. ზედ კლდის მირას, თითქოს დედის უბეს შუეფარებაო თავი, ერთადერთი არუის სე ეეღეულაობს. ერთი შეხედვით, შეიძლება შეკებრალოს კიდეს, მაგრამ, იქნებ საქმე ისეა, ზოეტმა რომ თქვა:

„ტიალი ქარი ფოთლებში კორავს,
დაიღვება და ხვნემის.

— ზატარა თელავ, რად დგანარ შორა?

ჩქარა შემოდი ტუეში,

თორემ ეს ქარი, ღმერთმა დალახვროს,

ფეხქვეშ დაგიდებს ცემით...

— არაფერი... კიდევ ვამაუობ:

ტუე სომ იწეება ჩემით!“.

(შოთანიშნიანიძე)

ზირიქითი ალანზნის სეობაში შემოდგომის ზირველი მაცნე სწორედ ეს ეული, ტუისაგან განცალკევებული სეა. შუა აგვისტოში ქვემთ ტუე ჯერ კიდევ ზურმუხტშია გახვეული, კლდისმირა არუს კი ფოთლები აქა-იქ უკვე შეჭვიითლებია.

ჰირველყოფილ ფრინველს ფრთა-ბუმბული სხეულს ძლივს უფარავდა. ამჟამად მცხოვრები ფრთოსნები კი ბუმბულის საფარში არიან განვეულნი. ასეთი სამოსი იცავს მათ ზედმეტი სიცხისა და სიცივისგან. განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული ფრთები. ფრენის დროს ძალიან დიდი დატვირთვა ადგება კუნთებს, გულსა და ფილტვებს. ამიტომ, ფრინველს სხეულის სხვა ორგანოებთან შედარებით ეს ორგანოები კარგად აქვს განვითარებული. სხეულის ზომასთან შედარებით ფრინველის ვეველა ეს ორგანო გაცილებით ძლიერია, ვიდრე ოთხფეხა ცხოველთა იგივე ორგანოები.

როგორ შემლო ფრინველმა მოუქნელი, მძიმე და ტლახქი წინაპრისგან ფრენისათვის შექმნილ ამჟამინდელ არსებად გადაქცევა? ჰახუხი წარსულ მილიონ წლებში



ირაქლება

უნდა ვეძებოთ. ამ უზარმაზარი დროის განმავლობაში უაღრესად ნელა, მაგრამ თანდა-
თანობითი სრულყოფის კზით ჩამოყალიბდნენ ფრინველთა სრულიად ახალი ფორმები.

ფრინველთა ორგანიზმი ვითარდებოდა გარემოს შესაფერისად, სადაც ამა თუ იმ
სახეობას უხდებოდა ცხოვრება. ფრთოსანთა უმეტესობა დაეუფლა სწრაფად ფრენას.
მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად, უმთავრესად სამხრეთ პოლუსზე, ანტარქ-
ტიდის კონტინენტზე ბინადრობენ უცნაური გარეგნობის ფრინველები — ჰინგუინები.
ფრენით ისინი ვერ ფრენენ, რა საშიშროებაც არ უნდა დაემუქროს, ვერც გაქცე-
ვით შეუძლიან თავს. და ასე, ადამიანებივით გამართულები, ძლივძლივობით დაბზაბა-



სირაქლემაზე დიდი ტანის იყო ახალი ზელანდიის ბინადარი — ვერი-ატერიქსი. იგი ეპეს ოჯახს მიეკუთვნებოდა. ეს ფრინველი-გიგანტი კუნძულის ამორიკენმა ადამიანებმა ამოწვიტეს ახალ ზელან-დიაში ჯერ კიდევ ევროპელების შემოსვლამდე

ჯებენ ეინულზე. მაგრამ ჰინგვინი მოუხემაჲია ხმელეთზე, წყალში კი შესანიშნვად ცურავს. თუ ხმელეთზე თავის ჰაწაწინა ფრთებს წონასწორობის შესანარჩუნებლად იუენებს, ზღვაში მათ ნიშბებივით ხშარობს. მეორე უცნაური ფრინველია სირაქლემა. უზარმაზარი, ღონიერი ფეხებით, ეს არსება ცხენზე უფრო სწრაფად დარბის. საემარისია, მორბენალ სირაქლემას თუნდაც ერთხელ შეავლოთ თვალი, ცხადი გახდება, იგი ვრცელი, გაშლილი სიერცეების ბინადარია. განა შეიძლება წარმოგვჩინა ისეთი კოლიათი და ღონიერი ფრთებისა, რომლებიც ამ ვეებერთელა ფრინველს ჰაერში ახწევენ?

როგორც ვხედავთ, ფრინველებმა დაიპურეს არა მარტო ჰაერი, ისინი ხელმეორედ შეაკავეს ხმელეთისა და წლის სტიქიებსაც. მაგრამ ფრთოსანთა უმთავრესი საცხოვრებელი გარემო მაინც ჰაერია.

ციხსკანი მიმართული სიცოცხლე

დედამიწაზე პირველ ავიატორებს, ე. ი. ჰაერის დამპყრობ ცხოველებს მწერები წარმოადგენდნენ. მათ ეს უნარი დიდი ხნის წინათ გამოიმუშავეს.

შუა ლევონურ პერიოდში (დაახლოებით 380-370 მილიონი წლის წინათ) წარმოიშენენ უფროთ, პრიმიტიული მწერები. კვიანდელ (ზედა) ლევონურ პერიოდში კი, ხულ რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ, პირველი ფრთიანი მწერებიც გაჩნდნენ. ამას გაამყნობს დედამიწის ქვის მატანე. ფრენის ხელაუნებას დაუფლებული ეს მწერები თანამედროვე ტარაკანების წინაპრები იყვნენ. კარბონულ პერიოდში (345-280 მილიონი წლის წინათ) ტბების ზედაპირზე, კვიმრის ტყის ჯუნკლებში უკვე დაფრენდნენ ერთდღიურები და ნემსიელაპიები. იმდროინდელი ზოციერთი ნემსიელაპია ნამდვილი გიგანტი იყო — გამძლილი ფრთებით მათი ზომა 75 სანტიმეტრს აღწევდა. ასეთი მსხვილი მწერები საშუარომ დღემდე არ იცის. პერმულ პერიოდში (280-225 მილიონი წლის წინათ) გაჩნდნენ სწორფრთიანების (კალიები, კუტკალიები) უმეკლესი წინაპრები. ფიქრობენ, რომ ამ დროსვე მოეყვინენ დედამიწას პირველი სოჭოები და ბადეფრთიანები. ჰალეოზოური ერის მიწურულს (დაახლოებით 225 მილიონი წლის წინათ) მწერების ეველა მსხვილი ჯგუფი, სიფრიფანაფრთიანების გარდა (ჭიანჭველები, კრანანები, ფუტკრები), უკვე არსებობდნენ. ზოციერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ ფრენდნენ არც ჰეპლები და არც ორფრთიანები (ბუხები, კოდოები). პირველ ჰეპლებს ვსვდებით მხოლოდ ტრიასული პერიოდის ფენებიდან, ხოლო ორფრთიანებსა და სიფრიფანაფრთიანებს — იურული პერიოდიდან.

მაგრამ მწერთა კლასის ჭეშმარიტი აღზევება იწყება რამდენადმე მოკვიანებით — დაახლოებით ასი მილიონი წლის შემდეგ, კვიანდელ ცარცულ პერიოდსა და ჰალეოკენში. ამ დროს, როგორც ცნობილია, დედამიწაზე საბოლოოდ გაბატონდნენ ევავილოვანი მცენარეები.

1784 წელს დასავლეთ ცერმანიის ჰატარა ქალაქ ზოლენჰოფენის კირქვის კარიერში მუშებმა ეურადღება მიჰქციეს კირქვაზე გამოხატულ ცხოველის უცნაურ გამოსახულებას. ინაბეჭდი იმდენად კარგად იყო შემონახული, რომ მხატვრის მიერ ახლახან შექმნილ ლითოგრაფიულ ნამუშევარს უფრო ჩამოჰკავდა. კარიერში მუშებმა ფილა ფრთხილად ამოჭრეს და დინტერესებულ ნატურალისტს — კოლინის მიჰვიდეს. ბუნების ამ ლითოგრაფიულ ქმნილებას კოლინიმ ვერაფერი გაუგო, თუმცა მეცნიერულად აღწერა და შესანიშნავად შესრულებული ნახატივაც დაასურათა. მეცნიერმა მას ზღვის „უცნობი

ცხოველი“ უწოდა. გავიდა წლები. ამ უცნობი ცხოველით დაინტერესდა სახელგანთქ-
მული ფრანგი სწავლული ჟორჟ კიუვე. მან დაადგინა ცხოველის ვინაობა: კოლინის
მიერ აღწერილი ჩონჩხი მიეკუთვნებოდა ხელიკს, მაგრამ არა ჰბრალოს, არამედ...
მფრინავს! 1801 წელს კიუვემ ამ ხელიკს „ჰტეროდაქტილი“ უწოდა (წარმოდგება
ბერძნული სიტყვებისაგან — „ჰტერონ“ — ფრთა და „დაქტილოს“ — თითი). ცხო-
ველის უკეთესი ნათლობა არც შეიძლება. ჰტეროდაქტილს თითოეულ წინა ფეხზე
ოთხ-ოთხი თითი ჰქონდა. სამი ჰატარა, ბრჭყალებიანი და მეოთხე უშეულებელი —
ნეკა. ამ უჩვეულოდ გრძელი ნეკა თითიდან მოყოლებული მთელი სხეულის გასწვრივ,
ვიდრე უკანა ფეხებამდე გადაჭიმული იყო ღამურას მსგავსი აპი. სწორედ ეს იყო
ჰტეროდაქტილის ფრთა. კიუვეს დასკვნაში ბუერმა, თვით ცნობილმა მეცნიერებამაც
კი ეჭვი შეიტანა. მაგალითად, გოეთეს მეგობარმა, მიუნხენელმა ანატომმა ზემერიანგმა
პირდაპირ განაცხადა — „არავითარი მფრინავი ხელიკი! ეს უნდა იქონიეს ვამპირი, ანდა
მისი მსგავსი რომელიღაც სხვა მფრინავი ღამურა“.

გავიდა წლები. ჰტეროდაქტილების ახალ-ახალმა აღმოჩენებმა სხვა ქვეყნებშიც და-
დასტურეს კიუვეს დასკვნის მართებულობა. ხელ ნახეს 32 სახეობის ჰტეროდაქტი-
ლის ასზე მეტი ეგზემპლარი.

ვევლახე საინტერესო ამ ცხოველში ის იყო, რომ სხეული დაფარული ჰქონდა ბლ-
ნით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰტეროდაქტილები თბილსისხლიანი ცხოველები იყე-
ნენ და მიეკუთვნებოდნენ არა რეპტილიებს, არამედ ცხოველთა დღემდე უცნობ ახალ
კლასს. სისტემატიკოსთა ერთი ჯგუფი დაყინებით მოითხოვს, რომ ცხოველთა სამეზრო-
ში ჰტეროდაქტილებისათვის შექმნან ახალი, ფრთიანი ხელიკების კლასი. სხვები ამ
აზრს არ იზიარებენ. ამდენად, ეს საკითხი ზოოლოგიაში ჯერჯერობით საბოლოოდ
გადაწყვეტილი არ არის.

ჰტეროდაქტილები ზომით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ: იუნენ ბელურისოდე-
ნანიც და ქორის ზომისანიც. მხოლოდ გვიან, ცარცულ პერიოდში დაფრენდნენ გაბლი-
ლი ფრთებით ათი მეტრის სიგრძის ხელიკები, აგრეთვე აღწერილია 16-მეტრიანი
გოგანტის — ჰტერანოდონის ჩონჩხიც.

1861 წელს გერმანულ ჟურნალში „მინერალოგიის ახალი ეოველწლიური“ გამო-
ქვეყნდა პროფესორ მეიერის სენსაციური სტატია. მეცნიერი წერდა, რომ იმავე ზოლენ-
პოფის კარიერის შრეებში აღმოჩნდა ბუმბულით დაფარული ცხოველის ჩონჩხი. ის
ფაქტი, რომ მეზოზოური ერის იურულ პერიოდში (190-136 მილიონი წლის წინათ)
უკვე ცხოვრობდნენ ფრინველები, პალეონტოლოგებისათვის ეოვლად დაუჯერებელი იყო.
მეიერმა თავის მოძიებულ მასალას „არქეოჰტერიქს ლითოგრაფიკა“ უწოდა (ბერძნუ-
ლი სიტყვებისაგან — „არქაიოს“ — ძალიან პეელი, „ჰტერინოს“ — შეუპოვებული);
სახეობის სახელწოდება — „ლითოგრაფიკა“ ცხოველს დაერქვა ზოლენპოფის ლითო-
გრაფიული შრეების მიხედვით. ამ არსებაში იშვიათად არის შესამეხული როგორც



მოკლეკუდიანი ხელიკის — ჰეროდოტის ნაპარსი ჩონჩხი ბაუ-
რიდან (ჩონჩხი დ ცელია შანის ურან ფურტის მუზეუმში)



არქეოპტერიქსის შესანიშნავად შემონახული ჩონჩხი (ჩონჩხი ღაცულია ბერლინის საუნებისმეტყველო მუზეუმში)



რეპტილიების, ისე ფრინველების ნიშნები, თუმცა უკანასკნელი ამ ცხოველში გაცილებით ნაკლებია. ამ ნიშნებს მიეკუთვნება ფრთები და თავისა და უკანა ფეხების აგებულების ცალკეული დეტალი. სამაგიეროდ, ქვეწარმავლისაგან არქეოპტერიქსმა დაიმუქვიდრა მასიური კბილები, უღრუო ძვლები, ფრთებზე ბრჭყალებიანი თითები და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ არქეოპტერიქსს კბილები ჰქონდა, იგი მაინც მცენარეთა ნაყოფებითა და თესვებით იკვებებოდა, ზოგჯერ ჭიუელებსა და მწერებსაც მიირთმევდა. ფრენდა ცუდად. უმეტესად ჰლანირებად ზემოდან ქვემოთ.

თელიან, რომ არქეოპტერიქსი ხეებზე მცხოვრები, მცირე ზომის რეპტილიის — ფსევდოზუსნიისაგან წარმოიშვა. მილიონობით წლების მანძილზე, ევოლუციის შედეგად ეს ქვე-

აღბოთ ასე გამოიყურებოდა არქეოპტერიქსი გეოლოგიურ წარსულში (მანარისა და ბურიანს მისედვით, 1977 წ.)

წარმავლები გადაიქცნენ ჯერ წინარეფრინველებად, შემდეგ კი ფრთებით დამშვენებულ პირველფრინველებად, ანუ არქეოპტერიქსებად. მათგან თანამედროვე ფრინველები წარმოშობამდე კი აღარაფერი რჩება.

ამის შემდეგ არ გასულა კიდევ 30 მილიონი წელი (იურული პერიოდის დამლევიდან ვიდრე ცარცული პერიოდის დასაწყისამდე), რომ მთელ დედამიწას მოველინენ ნამდვილი ფრინველები. ერთი კი საინტერესოა, ცარცული პერიოდის მიწურულს ნამდვილი ფრთოსნები როგორღაც თანაარსებობდნენ კბილებიან ფრინველებთან, მაგრამ დაახლოებით 70 მილიონი წლის წინათ ვეღა კბილებიანი ფრინველი ამოწედა და ადგილი დაუთმო თავის უკბილო თანამოძმეებს.

კაინოზოურ, ანუ ახალ ერაში ფრთოსანთა სამეარო უკვე წარმოდგენილია კვართა და სახეობათა ძალიან დიდი მრავალფეროვნებით, კარემოსთან შეკუების სრულიად განსხვავებული ხერხებითა და ფორმებით.

პირველი ხერხემლიანი ცხოველები

1935 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა, რომერმა და გროვმა გამოთქვეს აზრი ხერხემლიანი ცხოველების მტკნარ წელებში წარმოშობის შესახებ. მათი მონაცემებით ძელოანთა თევზების უმთავრესი ევოლუცია მიმდინარეობდა სწორედ მტკნარ წელებში და არა ზღვაში. ეს ფრიად საინტერესო მტკიცებაა, რამეთუ ძელოანთა თევზებისაგან წარმოიშვნენ ხმელეთის პირველი ოთხფეხა ცხოველები. ეს თევზები ცხოვრობდნენ 400-350 მილიონი წლის წინათ მდინარეებსა და ტბებში და ხუნთვაყდენ ლაუნებისათვ და ფილტვებისათვ. ამ თვისების გამო ეწოდათ მათ ორგეანად მსუნთქავები. ფილტვების კარეში ისინი დაიხრჩობოდნენ პირველყოფილი ტბების დამეაუებულ, მენხერ წელებში. ამ თევზების დიდ ნაწილს ფარფლები მტკეუნებად ჰქონდათ განვითარებული. სწორედ ამ მტკეუნებისაგან წარმოიქმნა მოგვიანებით ხმელეთზე გამოსული თევზების კიდურები. ამ მეორე ნიშნის მიხედვით მათ მტკეუნაფარფლიან თევზებსაც უწოდებენ. მოგვიანებით მტკეუნაფარფლიან თევზთა ის ჯგუფი, რომლებიც მეცნიერებს ცელაკანტებში ჰეაუთ გაერთიანებული, მტკნარი წელებიდან კვლავ ზღვაში გადასახლდნენ. მაგრამ მათ არც აქ გაუმართლდათ და, ერთადერთი გამონაკლისის კარდა (სახელგანთქმული ლატიმერია) ამოწედნენ.

მტკნარი წელების ერთგულ მტკეუნაფარფლიანებს უდიდესი მომავალი ელოდათ. მათ დასაბამი მისცეს იქითოსტეგებს — პირველამფიბიებს — ვეღა ოთხფეხისა და ხმელეთის ფრთოსნების პირდაპირ წინაპრებს.

რამ აიძულა თევზები მიეტოვებინათ მშობლიური სტიქია? ისინი სომ, როგორც ჩანს, წყალში არცთუ ისე ცუდად კრძნობდნენ თავს. მეცნიერებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრება: ეანგბადის ნაკლებობა, შიმშილი, მეტოქეობა სხვა თევზების მხრი-



ორგვარად მხუნთჳვი მტევანფარულიანი თევზი — ლატიმერია

დან, მაგრამ არც ერთი ეს მოსასრება არ აღმოჩნდა საფუძეულიანი. მტევანფარულიანებს ეანგბადიც საკმარისი ჰქონდათ, საკვებიც და მტრებსაც ადვილად უსწორებოდნენ. მაშ, რა მოხდა? წუალში დარჩენის უდიდესი სურვილი — აი, რამ აიძულა ეს თევზები მიეტოვებინათ წელის სტიქია! ასეთ ჰარადოქსულ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები. საქმე ის არის, რომ იმ შორეულ გეოლოგიურ წარსულში სმელეთის მენხერი წუალსაცავები სშირად შრებოდა. ტბები ჳაობებად იცყოდნენ, ჳაობები — გუბურებად, და ბოლოს, მზის მწველი სხივების გამო შრებოდა გუბურებიც. თავიანთი განსაცვიფრებელი ფარულების წუალობით, მტევანფარულიანი თევზები მენხერი წულების

უხერხე ცუდად როდი ცხოვრობდნენ. ეს უნარი მათ სპირად მსხენელის როლიში ეკლინებოდა. ტბის ამოშრობის წინ თევზები სტოვებდნენ თავიანთ გუბურებს და წელით ხაყე წვალსაცავებისაკენ მიხობხადნენ. წელის შებნაში თევზები იბულებული იყვნენ კადელახათ საქაოად დიდი მანძილი. ამ დროს გადარჩებოდნენ ისინი, ვინც უკეთ ხობხვად და ეგუებოდა ხმელეთს ცხოვრებას. ამკვარად, მკაცრი ბუნებრივი გადარჩევის გზით, მტკუანფარფლიანმა თევზებმა ჰპოვეს თავიანთი ახალი სამშობლო — ხმელეთი. ისინი გაცდნენ ერთდროულად ორი სტიქიის — ხმელეთისა და წელის ბინადრები. წარმოიქმნენ წვალხმელთა ცხოველები, ანუ ამფიბიები, მათგან ქვეწარმავლები, ამ უკანასკნელებისაგან კი — მუქუმწოვრები და ფრინველები. და ბოლოს, ჰლანეტაზე გაჩნდა ადამიანიც! მაგრამ ჰირველი ამფიბიიდან ადამიანის წარმოშობამდე გავიდა დაახლოებით 400 მილიონი წელი!

მუქუმწოვრების ოქროს ხანა

მუქუმწოვრები წარმოიშვნენ მტაცებელი რეპტილიების — ტერომორფების ანუ ნადირთა მსგავსი ქვეწარმავლებისაგან. ეს უკანასკნელები დედამიწას მოეკლინენ ძალიან დიდი ხნის წინათ (ქვანახშირის პერიოდი). მათი შთამომავლები — ტერიდონტები (მხეცებილიანები) მუქუმწოვრების უშუალო წინაპრები იყვნენ.

ჰირველი მუქუმწოვრები კი ჰლანეტაზე უკვე 200 მილიონი წლის წინათ დადიოდნენ. იურულ პერიოდში (190-136 მილიონი წლის წინათ) გაჩნდნენ, მაგალითად, პროტოტერები. მათი შთამომავლები — იქედნე და ისენისკარტა — ახლაც ბინადრობენ „ცოცხალი ნამარხების“ კონტინენტზე — ავსტრალიაში. იმავე იურულ პერიოდში ასპარეზზე გამოჩნდნენ ჰირველი ჩანთოსანი ცხოველებიც (იგივე მეტატერიები), ნამდვილი მუქუმწოვრები — ჰლაცენტიანები (ეუტერიები) განვითარდნენ ცარცულ პერიოდში (136-65 მილიონი წლის წინათ). თავდაპირველად ესენი იყვნენ ფრიად შეუსედავი — თავის ანდა ვირთხის ზომის ნადირები. იკვებებოდნენ მხოლოდ მწერებით. მანახადაბე, ისეთი დიდებული ცხოველები, როგორებიცაა ლომი, ირემი, ხაილო, ვუშაი და მათ შორის ჩვენც, ადამიანები, განვითარდით ზღარბისა და თხუნელას მონათესავე ჰაწაწინა ნადირებისაგან.

მეცნიერების თანამედროვე მონაცემებით, მუქუმწოვართა გაფურჩქვნის ცენტრს წარმოადგენდა ცენტრალური აზია. რა თქმა უნდა, ასი მილიონი წლის წინათ დედამიწის ეს რაიონი სულ სხვა ბუნებრივი პირობებით ხასიათდებოდა, ვიდრე დღეს. მკვდარი უდაბნოების ნაცვლად ხარობდა ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეულობა. თავიანთი ჰირველი სამშობლოდან ჰირველეთილი ჰატარა ზომის მუქუმწოვრები სწრაფად კავრცელდნენ დასავლეთით — ევროპაში და აღმოსავლეთით — ჩრდილოეთ ამერიკაში. ეს მოხდა ცარცულ პერიოდში. ახალ პირობებში ჰატარა ნადირები სწრაფად განვითარდნენ: ჩამოყალიბდნენ ასობით ახალ სახეობებად და, რაც მთავარია, ეს ახალი



გვიანდელ ტრიასულ პერიოდში შეეცნაირი ქვეწარმავლებისაგან განვიარდნენ პრიმიტიული მუხუმწოვრები. სურათზე გამოსახულია ერთ-ერთი ასეთი მუხუმწოვრა — ტრიკონოლოტი, რომელიც სიგრძით 60 სანტიმეტრს არ აღემატებოდა (შინარისა და ბურიანის მიხედვით, 1977 წ.)

ცხოველები შესანიშნავად შეეგუენ განსხვავებულ და მრავალფეროვან გარემო პირობებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუხუმწოვრართა ევოლუცია მთელი სისწრაფით მიდიოდა წინ. ცხენების წინაპრებსა და მტაცებლებში სამუალოდ ეკვლა 5-6 მილიონ წელიწადში ერთხელ წარმოიქმნებოდა ახალი გვარი, ხოლო მღრღნეულებში იმავე პროცესს ადგილი ჰქონდა 1-2 მილიონ წელიწადში ერთხელ. ვერ უძლებდნენ რა კონკურენციას, დედამიწის ბუერ ადგილას გადაშენდნენ ზღაფენტიანებთან შედარებით უფრო პრიმიტიული, ჩანთოსანი ცხოველები.

ევოლუციის პროცესში მუხუმწოვრები კარგუნულადც ფრიად გამრავალფეროვდნენ, გაჩნდნენ გიგანტებიც, რომელთა მსგავსი დედამიწამ არ იცოდა თვით დინოზავრების ეპოქამაც. ესენი იყვნენ ვეშაპები. მაგრამ წელის სტიქიამი ცხოველთა სამეაროს ამ კოლოსებს თავიანთი უსარმაზარი სხეული კისერზე უღლად აღარ აწევბოდათ.



კაპინარების დროინდელი გამოქვაბულის დათვი. დღეს ამოწე-
ვეტილი ეს ნადირი კაცილებით დიდი ზომისა იყო, ვიდრე თანამედ-
როვე მურა დათვი. პირველყოფილი ალაშინი ძირითადად მასზე
ნადირობდა (მჭინარისა და ბურიანის მიხედვით, 1977 წ.).

ცხენი — გაშლილ ტრამალთა მშვიინება

ცხენების მიწაში ჩამარხული პალეონტოლოგიური ისტორია მეცნიერების მიერ დღეს
ეუელა სსეა ცხოველზე უკეთაა შესწავლილი.

ამ დიდებულ ჩლიქოსანს საწეისი ეოპიზუსმა მისცა. ეს იყო კატის ზომის, ალბათ,
ზოლებანი, ტაპირის მსგავსი ნადირი. ცხოვრობდა ხშირ ტუეებში, მტრებს კი ემალეობ-
და გვიპრებსა და მალალ ბალახებში. სდებოდა ეს დაახლოებით 50 მილიონი წლის
წინათ. ეოპიზუსს წინა კიდურები უმთავრდებოდა ოთხი თითით, ხოლო უკანა — ხაპით.
ჯაობში რომ არ ჩაფლულიყო, ცხოველს ასეთი ფეხები ძალიან შეელოდა.

ეოპიზუსის ნარჩენები ნანახია ინგლისსა და ამერიკაში. ცხოველის სიმაღლე ქედში
25-დან 50 სანტიმეტრს შეადგენდა.

კაციდა 15-20 მილიონი წელი. მიიწურა ეოცენი (38 მილიონი წლის წინათ).
პატარა ეოპიზუსები ჯერ კიდევ არსებობდნენ დედამიწაზე, მაგრამ მათ შორის გა-
მოერია უფრო დიდი, გერმანული სამსახურის ძაღლის ხელა ფორმები. ოლიგოცენ-
ში (38-26 მილიონი წლის წინათ) ცხენის წინაპართა ეველა სახესხვაობა ამოწედა



შრეველკის ცხენი ცენტრალური აზიის ბინდარა და კარეული ცხენის დღემკე შემორჩენილი ერთ ერთი უარმა

ევროპაში. ეს მოხდა საკმაოდ მოულოდნელად. თანამედროვე ფესმარდი ცხენების წინა-პართა განვითარების ისტორიამ ახლა ამერიკაში კადანაცვლა. ახალ სამეაროში ეოპიპუსის უახლოესი შთამომავლის ოროპიპუსისაკან განმტოვდა მეზოპიპუსი. ამ უკანასკნელს წინა ფეხებზე ჭქონდა უკვე არა ოთხი, არამედ სამი თითი, ზომით კი მკლის ხელა კახდა. მიოცენში (26-7 მილიონი წლის წინათ), როგორც აღვნიშნეთ, დედამიწაზე ძალიან დიდი ცვლილებები მოხდა. ტროპიკული ტყეები ბევრ ადგილას კაქრა, გამლილი ტრამალეები სიმშრალის ამტანმა ბალახებმა დაფარა. ტეიდან ველებზე კადმოსახლებულმა ცხენის წინაპრებმა სწრაფად იწეეს ახალი ჰირობების შესაფერისი ევოლუცია. ველის ცხენი ცნობილია მერიპიპუსად. ახალ ჰირობებში ეს ცხენი უკვე ერთ, შუა თითს ეერდნობოდა, დანარჩენები თანდათანობით გადაუკვარდა, ატროფირდა.

ჰლიოცენში (7-2,5 მილიონი წლის წინათ) მერიპიპუსი გარეკნულად უკვე ტაპირს აღარ ჩამოკავდა. ეს იყო მინიატურული ცხენი, მაგრამ ახლანდელ ბუღარებთან უფრო ახლოს მინც მისი შთამომავალი — ჰიპარიონი იდგა. კარეული ცხენის ამ ფორმამ ქედში 1,5 მეტრს მიაღწია, ფეხზე განვითარებული სამი თითიდან კი კვერდითები მიწას სრულიად არ ეხებოდნენ.

ჰიპარიონები (დღეს უკვე აღწერილია მათი 50 სახეობა) ურიცხვი რემების სახით დაჰქროდნენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ველებში, ნახევარუდაბნოებსა და საუანებში.



ცენტრალური აზიის უდაბნოების მორე ბინადარი — გარეული ხახედარი

აზიაში, აქედან კი ევროპაში ისინი ჩრდილოეთ ამერიკიდან გავრცელდნენ. იმ დროს ბერინგის სრუტე (საიდანაც ისინი ძველ სამეაროში გადმოვიდნენ) ხმელეთს წარმოადგენდა.

ჰიპარონები მრავალრიცხოვანი, ფართოდ გავრცელებული ცხოველები იყვნენ. აღნიშნულის გამო ჰალეოტოლოგებმა ამ ცხოველთათვის დამახასიათებელ გარემოში მცხოვრებ ეველა სხვა ცხოველთა ერთობლიობას ჰიპარონული ფაუნა უწოდეს.

ერთ დროს მეცნიერები ჰიპარონს თანამედროვე ცხენების უშუალო წინაპრად თვლიდნენ. დღეს ეს აზრი უარყოფილია. ამჟამად ჰიპარონი ცხენის ევოლუციის ისტორიაში ჩიხისებრ, კვერდით განშტოებად არის აღიარებული. ეს შტო უნაყოფო აღმოჩნდა. ჰიპარონმა არ დატოვა შთამომავლობა და ჰლიოცენის ბოლოს ამოწედა.

ცხენის უშუალო წინაპარი იყო ჰიპარონის თანამედროვე და მესობელი — ერთთითიანი ჰლიოჰიპუსი. ცხენების გარდა, მისგან წარმოიქმნენ ვირები და ზებრები.

ტაშენინარების ბოლოსთვის ამერიკაში ეველა ცხენი ამოწედა. დაახლოებით 20 ათასი წლის წინათ, ალიასკის გავლით ახალ სამეაროში გამოჩნდნენ ჰირველი ადამიანები, ისინი ამერიკაში ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან მოვიდნენ. ჰირველ ამერიკელებს აქ კიდევ დასვდით გარეული ცხენები.

ამერიკის ველური ცხენების მიწის პირიდან უცბად აღეკა დღემდე ბუნების ერთ-ერთ ამოუხსნელ გამოცანად ითვლება. ადამიანის მიერ ცხენის მოშინაურება აზიაში მოხდა. ამერიკაში — თავის პირვანდელ სამშობლოში — ეს საუცხოო ცხოველი ესპანელმა კონკისკადორებმა შეიკვანეს.

შეიხედოთ ტუმი ანდა ევაილებით მოქარულ მღვლოს გადავალთ თვალი. წევს წინ გადაიღება ბუნების მომხიბლავი საშეარო. უზარმაზარ ხეთა ვარჯები სადღაც მღვლა შეკრულან, მათ ქვემოთ უფრო დაბალი ხეები აღმართულან. ამ ჰატარა ხეების ქვეშ ბუჩქები იზრდებიან, ბუჩქების ქვემოთ — ბალახები ელეულაობენ, ბალახებს შორის კი მიმოფანტულან სოკოები, ხავსები და სხვა მცენარეები.

ერთი შეხედვით. მცენარეთა ეს მრავალფეროვანი საშეარო ერთმანეთთან მშვიდობიანად შეზობილობს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, და აი, რატომ. თითოეული ხე, ბუჩქი, ბალახი ტუის ნიადაგში ფესვებით ჩანსრდილი, დამოუკიდებელი არსებაა. მზისკენ ჰირქვეული ამ მცენარეთა ფოთლები თუ ნიადაგში ჩანსული ფესვები, საკვებს საჭიროებენ. მაგრამ არსებობისათვის აუცილებელი ნივთიერებების მისაღებად ბრძოლა საჭირო.

ამ ბრძოლაში ეკელს ერთნაირად რიდი უმართლებს. ერთი ხე უფრო სწრაფად იზრდება, მეორე — შედარებით ნელა. თავდაპირველად ამაში არაფერია განსაკუთრებული, ერთიცა და მეორეც მშვიდობიანად ცხოვრობენ ერთმანეთის კვერდით, მოიპოვებენ სარჩოს. მაგრამ დეკა ეაში, როდესაც სწრაფად მოზარდი მცენარე ავიწროებს ნელად მოზარცს. დიდი ხე თავისი ვეებერთელა, ქორბუდა ვარჯით ისაკუთრებს მზის სხივებს და ჩრდილავს ჰატარებს.

რა მოხდება, თუ მზის სხივები არ დაეცემა მცენარის ფოთლებზე? ასეთ მცენარეს მოაკლდება საკვები და მალე დაეინებას დაიწეებს. კალაღებული მცენარე სულ უფრო ურთულესს სიცოცხლეს დაბეჩავებულს. მართალია, ზრდაჩამორჩენილი მცენარეები მაინც განაგრძობენ არსებობას, მაგრამ სულ უფრო ჩამორჩებიან ძლიერებს და იძულებული ხდებიან დაკმაყოფილდნენ ძლიერად მოზარდი მცენარის მიერ დატოვებული მცირეოდენი სარჩეობა ჰირობებით.

მაგრამ ასეთი ეითარება მუდმივად არ კრმელდება. ზოგჯერ ტუეს ქარიშხალი დაატეება თაეს. რა ხდება ამ დროს ტუეში? ქარის მოწოლისაგან ჰატარა, სუსტი ხეები თავიანთი მოქნილი ზროებით იღუნებიან, დიდი ხეები იცავენ მათ ბუნების სტიქიისაგან და ვინაიდან ჰატარა ვარჯი ქარისთვის მიუწვდომელია, ხშირად ასეთი ხეები სტიქიასთან ბრძოლაში უნებლგები რჩებიან. სულ სხვა მდგომარეობაში ვარდებიან დიდი ხეები. როგორც კი ქარიშხალი მალემად მიასკდება მათ ვეებერთელა ვარჯებს, ფესვებიანად თხრის და ძირს აწევენს ტუის მშენებებს. ერთი ხე-გოლიათის სიკვდილი ზრდა-განვითარებისათვის ესაა უხსნის რამდენიმე ჰატარა ხეს. აქამდე ჩრდილში მოქცეულ ამ სუსტ ხეებს უხვად ხვდება მზის სხივები და ისინიც სწრაფად იწეებენ ზრდას. ასლა ამ უკანასკნელებს შორის აღმოჩნდებიან უფრო სწრაფადმოზარდები. და მალე ტუეს თავს მოექცევიან ახალი ხე-გოლიათები.

სუები, ბუნებები თუ ბალახები მხოლოდ მზის ქვეშე მოხერხებული ადგილისათვის როდი იბრძვიან. ფესვების დახმარებით ნიადაგიდან ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წულისა და საკვები ნივთიერებების შეწოვას.

არსებობისათვის ბრძოლა ეკვდება ცხოველთა სამუაროშიც. მაგალითისათვის ავიღოთ ურიად მალალი გამრავლების უნარის მქონე მინდვრის თაგვი. იგი ერთ ჯერზე 8-10 წრეწუნას შობს. ეს უკანასკნელები სამი თვის ასაკში უკვე თვითონაც მრავლდებიან. ორი თაგვის შთამომავლობა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 5000 ცხოველს ითვლის. ამიტომ ჯეჯილით სავსე მინდორში უამრავი თაგვი დაუხვრუნებს. ვეელა ეს მდრღნელი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, კაცობრიობას ამჟნად ცუდად ექნებოდა საქმე. ისინი ხომ ჰირწმინდად გაანადგურებდნენ ნათესებს. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე როდი ხდება. საქმე ის არის, რომ ბუნებაში მინდვრის თაგვით არაერთი და ორი ცხოველი იკვებება. უწინარესად ეს მელაა. ამ ნადირისათვის მინდვრის თაგვი მთავარი საკვებია. სიამოვნებით მიირთმევენ ამ ცხოველებს სხვა მტაცებლებიც: ქორი, შავარდნი, ბუ... ამიტომ თაგვი ისე ვეღარ მრავლდება, რომ მინდვრის მოსავალი გაანანავოს. მათ მუსრს ავლებს სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებაც. კადარჩებიან მხოლოდ ეველასუ ჯანმრთელები და სიცოცხლისუნარიანები. ეს უკანასკნელები თავიანთ უფრო ხუხტ თანამომსეებთან შედარებით აუცილებლად გამოირჩევიან გარკვეული ნიშნებით, რომელთა წუალობითაც შთამომავლობას მუდმივად აგრძელებენ გარემოსთან ეველასუ უკეთ შეგუებული ინდივიდები. ბუნებრივი კადარჩევის ასეთი გზით, წლიდან წლამდე უმჯობესდება ცოცხალ არსებათა ნიშან-თვისებები. და ეს ეველასუ ძლიერი ცხოველები თუ მცენარეები დროთა განმავლობაში თავიანთი წინაპრებისაგან ხულ უფრო მეკეთრად განსხვავდებიან. წარმოქმნიებიან ახალი, ამა თუ იმ ბუნებრივ ჰირობებთან ეველასუ უკეთ შეგუებული სახეობები. აი, ასეთი გზით ხდება ბუნებაში ცხოველთა და მცენარეთა განვითარება.

მოვიყვანოთ ცხენის მაგალითი. ამჟამად ჯეღამიწასუ ადამიანს ცხენის უამრავი ჯიში გამოიყვანა. ერთი მხრივ, კოლიათ ტვირთმზიდებს, ხოლო მეორე მხრივ, მოტლანდიურ ჯუჯა ჰონის შორის უსარმასარი განსხვავებაა. მაგრამ, ზემოთ ითქვა, თანამედროვე ცხენის შორეულ წინაპართან შედარებით თვით ჰონიც კი გიკანტად მოკვეწუნებოდა. ჰრიმიტიული წინაპრებისაგან ველური ცხენის წარმოშობა ბუნებრივი კადარჩევის გზით კანზორციელდა, გარეული ცხენისაგან მრავალრიცხოვანი შინაური ჯიმების გამოკვანა კი ადამიანის დამსახურებაა. ეს უკანასკნელი უკვე ხელოვნური კადარჩევის გზით მოხდა.

რამ განაპირობა ბუნებაში ეველა ამ ცვლილების წარმოშობა? იქნებ ვინმეს ნებასურვილმა? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, სათანადო სასარკებლო ნიშან-თვისებების შემენის გარეშე ცხენი ვერ შეკვეწებოდა გარემოს ახალ ჰირობებს.

წარმოვიდგინოთ, რომ ბალახის მოვით გართულ ცხენთა რემას თავს დაესხა მკლე-

ბის სროვა. მკელი ძლიერი, სწრაფი და სასრიანი მტაცებელია. ცხენს მასთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, გაუჭირდება. როგორც არ უნდა იგერიოს მტრები წისლებით, სულ ერთია, მკლები მაინც დაკლავენ. ასეთ შემთხვევაში იჩენს თავს ცხოველის ზოგიერთი ნიშნის უპირატესობა. უწინარესად, ეს სწრაფი კიდურებია. ცხენი ხიფათს მხოლოდ მაშინ დაღწევს თავს, თუ თავის მოწინააღმდეგეზე გაცილებით სწრაფი და გამძლე აღმოჩნდება. ადრე მკლები ცხენებზე უფრო სწრაფები იყვნენ. ქანცაცლილ მსხვერპლს ბოლოს და ბოლოს მოიხელთებდნენ ხოლმე და კლავდნენ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, კანსაკუთრებით ისინი, რომლებსაც კრძელი ფეხები ჰქონდათ, აღწევდნენ ხოლმე თავს მღვერებს. უმეტესად ასეთი ცხენის კვიცი დედის ან მამისაგან იმეკვიდრებდა არსებობისათვის ამ უადრესად სასარგებლო ნიშანს. ამ ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს — სხვა ცხენებთან შედარებით ოდნავ კრძელ ფეხებს არსებობისათვის ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ადრე ცხენის წინაპარი ტყეში ცხოვრობდა. სანამ მდელით, ქორთა და მსუე ბალახი ჯერ კიდევ ბევრი იყო, ეს ცხოველი თავისი ჰატარა და სუსტი კბილებითაც იოლად კადიოდა. მაგრამ შემდეგ ჰავა შეიცვალა, ბალახებიც მაკარი და უფრო მშრალი ვახდა. ასეთი ბალახის საკვებად ცხენს კბილებიც მაკარი უნდა ჰქონოდა. შეცვლილ ჰირობებში ცხენს უჭირდა თავის გამოკვება, სუსტდებოდა და, ბოლოს, ნადირის ლეკა ხდებოდა. ბუნებაში ხომ მტაცებელი, უპირველესად, სუსტსა და დაურდომელ მსხვერპლს იძორჩილებს. ამიტომ ცხენის წინაპრებს შორის გადარჩებოდნენ შედარებით მაკარი კბილების მქონე ინდივიდები. და ეს სასარგებლო ნიშანიც, კრძელი ფეხების მსგავსად, შემკვიდრებით გადაეცემოდა თაობიდან თაობებს.

ამკარად, მილიონობით წლების განმავლობაში ცხენის წინაპრები იცვლებოდნენ კარემოს მიხედვით, სადაც მათ უხდებოდათ არსებობა.

თანამედროვე ცხენისათვის ნიშან-თვისებათა მსგავსი, თანდათანობითი და ხანგრძლივი ცვლილებების შემჩნევა უკვე ძნელი საქმეა. სამაგიეროდ შემოკვრჩა კარეგნული ცვლილებების სხვა კვალი. ესენია ჰირველოფილი ცხენების ძვლები. მეცნიერები მათ დღემდე ჰოლოლობენ, ამუშაეებენ, სწავლობენ და სათანადო დასკვნებსაც აკეთებენ. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება თანამედროვე ცხენის წინაპრის კარეგნობის აღდგენა. ჰირველოფილი ცხენის მსგავსი ცხოველები დღემდე ცხოვრობენ აზიაში. ერთ-ერთი მათგანია მონღოლეთის უდაბნოების ბინადარი — ჰრევეალსკის ცხენი.

კლიმატის შეცვლამ, ტყეების გამეჩხერებამ მხოლოდ ცხენს როდი უცვალა სახე. შეიცვალნენ სხვა ცხოველებიც. სპილოს, მარტორქას, ვეფხვის წინაპრებიც საგრძნობლად განსხვავდებოდნენ მათი შთამომავლობისაგან. და ეს განსაკუბიცაა. კადარჩნენ მხოლოდ შეცვლილ კარემოსთან ეველასზე უკეთ შეკუებული ფორმები.

ახლა კი კიამბობთ ცხოველზე, რომლის კარდაქმნამაც დიდი როლი შეასრულა ადამიანის წარმოშობაში.



ცხენები სვანეთის იალღებზე

რამდენიმე მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა უცნაური მაიმუნი. იგი კარგნობით არც ადამიანს ჰგავდა და არც ღედამიწაზე ამკამად არსებულ მაიმუნებს. სეზე მობინადრე ეს მაიმუნი, დღეუანდელი მაიმუნის მსგავსად, მხიარულად და თავდავიწყებით დასტოდა ტოტიდან ტოტზე. ხანდახან მაიმუნთა ეს წინაპარი სახეობა მიწაზეც ჩამოდიოდა. ასეთ შემთხვევაში ცხოველი ვერდნობოდა მოკლე უკანა კიდურებს, წინა გრძელ კიდურებს კი უკანებს ახმარდა და ასე მოუსხერხებლად დგამდა თავის ჰირველ, მოკრძალებულ, გაუბედავ ნაბიჯებს მიწაზე.

როცა კლიმატის შეცვლის გამო საგრძნობლად შეთხელდა ტუეები, ამ მაიმუნებს სულ უფრო ხშირად უხდებოდათ მიწაზე ჩამოსვლა, იძულებული ხდებოდნენ სულ უფრო ხშირად ემოძრავით გაშლილ, უტუეო სივრცეებში. ამას კი მაიმუნის ორგანიზმის აგებულებაში ფრიად საინტერესო ცვლილებები მოჰქეა.

სუსტი, მაზრამ, მაინც ძლიერი

ხიდან მიწაზე იძულებით ჩამოსული მაიმუნი ფრიად სუსტი არსება იყო. მას მოუხდა საიმედო თავშესაფრის — ტუის მიტოვება. მაიმუნს არჩევანი აღარ ჰქონდა, ნებით თუ უნებლიეთ იგი უნდა შეეკუებოდა კარემოს შეცვლილ ჰირობებს, საფუძვლიანად უნდა დაჰკვიდრებულიყო მიწაზე. აქ კი საჭირო იყო არა მარტო სიარულის სწავ-

ლა არამედ სხვაგვარი კვებაც. ტუეში იცი იკვებებოდა ნაირგვარი ხილით, კაკლით, თესლით, კენკრით, არც წვრილფუნა ცხოველებზე ამბობდა უარს: სადაც ხელი მიუწვდებოდა, აჩანაცვებდა ჩიტების ბუდეებს, შეეჭყვოდა მათ კვერცხებს.

ამ საკვების უმეტესობა გაშლილ სივრცეებში არ მოიპოვებოდა, ამიტომ მაიმუნნი იბულებული იყო დაკშოფილებულიყო იმ მცირე უღუფით, რასაც აქ ბუნება აძლევდა. ეს იყო მცენარეთა ფესვები, ჰატარა ცხოველები ანდა მტაცებელთა ნანადირევის უბადრუკი ნარჩენები. მაიმუნს უნდა ესწავლა დიდ მანძილზე სიარული, მხოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა კუჭის ამოყვება.

ვაკე და გაშლილ ადგილებში ცხოველს გაცილებით მეტი სისწრაფე მოეთხოვება, ვიდრე ტუეში. სხვანაირად მტაცებელს თავს ვერ დააღწევდა. აქ ვერც ზუსტად და ვერც ტუის უღრანში გაუჩინარდები. ამიტომ, თავდაპირველად, მაიმუნთა არა თითო-ოროლა წარმომადგენელი, არამედ ურიცხვი ჯოგი ხდებოდა სხვადასხვა მტაცებლის მსხვერპლი. გადარჩებოდა მხოლოდ ის, ვინც სხვებზე ადრე შეამჩნევდა თავდამსხმელს და უშველიდა თავს. უწინარესად ესენი იყვნენ შედარებით გამართულად, მხოლოდ უკანა კიდურებზე მოსიარულე ცხოველები. წელში გამართული ცხოველი, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთ ზეერაჟს მიდამოს.

გამართვამ გამოიწვია წინა კიდურების განთავისუფლება. თანამედროვე მაიმუნებს რომ უეურებ, ამაში ადვილად რწმუნდები. ისინი ჟონგლიორის სიმარჯვით იეუნებენ წინა კიდურებს. მაიმუნების უმრავლესობა შესანიშნავად იმარჯუებს ხელში სხვადასხვა საგნებს. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ უნარი აქვთ დაუპირისპირონ ხელის მტკვნის ცერა თითი დანარჩენ თითებს, რაც უდიდესი უპირატესობაა. აბა, სცადეთ, და დაატრიალეთ ხელში რაიმე საგანი ცერა თითის დაუსმარებლად, უმაღლ დარწმუნდებით ხელის უმწეობაში. ამ თითის მოუშველებლად ხელი ერთბაშად უმწეო ხდება. ასე იყო უძველესი მაიმუნების შემთხვევაშიც. როგორც კი სხეულის გამართვის შედეგად წინა კიდურებმა თავისუფლება იგრძნეს, მაიმუნს საგნებიც სულ უფრო იოლად ემორჩილებოდნენ. ასლა მას აღარ უჭირდა ქვისა და ჯოხის თათით აღება, მათი ხამულებით მცენარეთა ფესვების ამოთხრა, ზოგჯერ კი ჰატარა ცხოველებზე ნადირობაც. ეს კი ძალიან ბევრს მოასწავებდა: ასლა მაიმუნი მხოლოდ თავის თათებზე აღარ იყო დამოკიდებული. ამიერიდან ხელში აღებულ ჯოხს ან ქვას შრომის იარაღის ფუნქცია ენიჭებოდა. ამგვარად, უბრალოდ წაწვეტებული ჯოხები თუ წვეტიანი ქვები დედაძინის ისტორიაში შრომის ჰირველ იარაღებად გადაიქცნენ.

ამჟამად მცხოვრები მაიმუნებიც ჩინებულად იეუნებენ იარაღად სხვადასხვა საგანს. ამ მხრივ ეველასზე უნარიანია შიმპანზე. მაგალითად, ნუგბარი საკვების ხელში ჩასაგდებად შიმპანზეს შეუძლია ჯოხს ფორმა შეუცვალოს: წააწვეტოს, დაამოკლოს, უფრო მეტიც, ლაბორატორიულ ჰირობებში მისგან შორს ჩამოკიდებულ ფორთოხალს რომ მისწვდეს, მაიმუნი მსხვილ ზამბუკში დებს წვრილ ზამბუკს, ამგვარად აგრძელებს ჯოხს, სწვდება

მაჟსე ჩამოკიდებულ ნაოფს, შირს აკლებს და გემრიელად შექცევა. ამ ცნით ეს ჯკვიანი არსება ამზადებს მარტივ იარაღს და შირსი დახმარებით შოიზოუებს საკვებს. .

მეცნიერები ბუნებაშიც აკვირდებიან და სწავლობენ შაიშუნთა ქცევებს. აღმოჩნდა, რომ ჯოხის გარდა, ისინი წარმატებით იეგნებენ ქვასაც. სახელდობრ, ქვის საშუალებით ტეხენ ქოქოსის დიდსა და შაგარნაჭუჭჩინ კაკლებს. შაიშუნები ქვეს თავდაცვისათვისაც შირად შირათავენ: ესერიან შათ შეტევაზე კადმოსულ შირს.

ამასვე აკეთებდნენ შაიშუნთა წინაშარი, ეველასე შოსირსებული ფორმებიც. როდესაც ერთსა და იმავე საქმეს შირად იშორებ, ბოლიის და ბოლოს, ეს საქმე გიადვილდება. დროთა განმავლობაში, კამლილ ადგილებში მოსეტიალუ შაიშუნებიც შეხანიშნავად კაიწაფენენ ქვისა და ჯოხის ხმარებაში.

შაგრამ თათები იქნებოდა ეს თუ ხელები, ისინი თავისთავად ვერ კაიწაფებოდნენ. შექმნილი ვითარების შესაბამისად, შათ მოქმედებას წარმართავდა თავის ტვინი. და შირიქით, რაც უფრო შირად ენიჭებოდა წინა კიდურებს ხელების ფუნქცია, შათ უფრო ეალიბდებოდა, ვითარდებოდა და სრულყოფილი ხედებოდა უმეველს შაიშუნთა თავის ტვინი. კავიდა შალიან დიდი დრო. და შირველყოფილი შირიშინსაგან წარმოიქმნენ თვისებრივად სრულიად განსხვავებული არსებები. 1

თავიანთი კონებრივი კანვითარებით ისინი უკვე აღარ იეგნენ შაიშუნები, შაგრამ ჯერჯერობით შათ ვერც ადამიანებს უწოდებთ. ისინი იეგნენ რაღაც შუალედური ფორმები კონებრივად ხუსტად კანვითარებულ შაიშუნებსა და აზროვნების უნარის შქონე ადამიანებს შორის. მეცნიერები შათ შაიშუნ-ადამიანებს, ანუ შირთგანთროპებს უწოდებენ. ეს არსებები იმდენად შეუსედავი და შინაზუები იეგნენ, რომ დღევანდელ ადამიანთან შათი შედარებას კი შეუძლებელია. სახე შთლად შირიშინსა შქონდათ, ქალა — შატარა, სხეული — ბალით დაფარული, ხელები — კრმელი, შოლო ფესები — მოკლე და დაბრცელი. შაგრამ შაიშუნებთან შედარებით შროკრესიც შეიშნეოდა: ამ ცსოველთა ნაწილმა ცცცხლის კამოეენებას ისწავლა თავისი საჭირობისათვის.

დღეს მნელია იშის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავდა ადამიანის ცსოვრებაში ცცცხლის დამორჩილება.

რაკეტებისა და ხელოვნური თანამჯაზვრების საუკუნეში იშვითად თუ კაკვირევე კაცს რაიშეთი. შაგრამ კაცობრიობის ცივილიზაციის კანვითარების დაჩქარებაში ცცცხლის აღმოჩენას ვერც ერთი თანამედროვე ტექნიკური შროკრესი ვერ შეედრება. შეიძლება თამამად ითქვას: ცცცხლის დახმარებით ადამიანმა სახე უცვალა საშეაროს. ცცცხლი ადრობს ფოლადს, მოძრაობაში მოჭავს მანქანები... და აი, კანვითარების გარკვეულ საფეხურზე ამ ნახევრად შაიშუნებმა და ნახევრად ადამიანებმა ხელთ იგდეს საშეაროს კარდამქმნელი ეს ჯადოხნური შალა. შართალია, ისინი ცცცხლს ჯერჯერობით ერთადერთი შირნით იეგნებდნენ — მსოლოდ ხორცს წვავენენ მასზე, მანამდე კი ცსოველურ საკვებს უშად შირითმევენენ, შაგრამ ეს ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო შიასლუ

ხინამდვილეში ფრიად მნიშვნელოვანი იყო. შემწვარი სორცი გაცილებით იოლი დასადეჟა, ამიტომ აღარ შეიქმნა საუაღდებულო მაიმუნებისათვის დამახასიათებელი მაგარი ხაღუჭი კუნთები, რომლებიც ორგანიზმში აკავშირებენ ძვლებს. თუ კუნთები სუსტია, ძვლებიც შედარებით ჰატარა უნდა იყოს და ჰირიქით.

რა სიახლეები მოხდა მაიმუნ-ადამიანის განვითარებაში მოგვიანებით? ვინაიდან ცეცხლზე დამზადებული საკვებისათვის საკმარისი იყო უფრო სუსტი ხაღუჭი კუნთები, დასუსტებულმა კუნთებმა განაპირობეს ქალის ძვლების გათხელება. აღნიშნულის წესლობით ქალში კათავისუფლდა საგრძნობლად დიდი ფართობი. ეს კი, თავის მხრივ, საბაბი გახდა თავის ტვინის ზრდისა.

თავის ტვინის დახმარებით ჩვენ ვაზროვნებთ, ვფიქრობთ. რაც უფრო განვითარებული აქვს ადამიანს თავის ტვინი, მით უკეთ აზროვნებს. ადამიანს ეველა მსხვილი მუქმწოვარასაგან განსხვავებით, თავის წონასთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდი ტვინი აქვს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ადამიანი გაბატონდა დედამიწაზე.

ცნობილი ქართველი ბიოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერკი დურმიძე ავტობიოგრაფიულ წიგნში „სოცი რამ წარსულიდან“ იმეათი სატოვანებით აკვიწერს გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების თავის ტვინის მუხეუმის დათვალეერებისას მიღებულ შთაბეჭდილებას: „საოცარია, როგორ იბადება, ვაკვადება და ისადგურებს ეოველ ამ ორ ჰემე ტვინის ქსოვილში უსახღვრო ოცნება თუ მისწრაფება, მწუნარება და სისხარული, ეჭვი და იმედი, სიეუარული თუ შემოქმელება...“

თუ არა ეს ფაქტორი, ადამიანი ძალზე სუსტი არსებაა. ლომი, ეეფხვი, სწილო ჩვენზე შეუდარებლად ძლიერნი არიან, კურდღელი ან ირემი ადამიანზე გაცილებით სწრაფად დარბიან, არწივი, ორბი თავიანთი მახვილი თვალებით ნებისმიერ კაცზე შორს იხელებიან; მკელს საგრძნობლად მჭრელი კბილები და ბასრი ბრჭეალები აქვს; ეველა მაიმუნი ადამიანზე გაცილებით მოქნილად დახტის ხეზე, თეეხებს ვერავინ გუჯიბრება ცურვაში; ფრინველები დაფრენენ, ჩვენ — ვერა.

მაგრამ ეველა ეს ნაკლი ადამიანმა აინაზღაურა მაღალგანვითარებული გონების წეალობით. აზროვნების ძალით ადამიანმა შექმნა თვითმფრინავი და ჰაერში მას ვერც ერთი ფრინველი ვედარ უწევს მეტოქეობას, გამოიკონა მანქანა, რომელიც უკან იტოვებს ნებისმიერ ირემს, ააგო ხომალდი, რომელიც ეველა თეესს ჯობნის ცურვაში.

ხოლო ეველაფერი ამის შემოქმედი — თავის ტვინი — ვითარდებოდა შრომის პროცესში მას შემდეგ, რაც ჰირველეოფილი მაიმუნები ხიდან მიწაზე ჩამოვიდნენ და დაუფულნენ ჯერ მარტივი, შემდეგ კი გაცილებით რთული შრომის იარაღის გამოენებას.

ამ დროს განვითარდა მეტეველებაც.

ბეერებს ძალიან ბეერი ცხოველი წარმოთქვამს. ეური დაუგდეთ, რა სულ სხედასხვანაირად გალობენ ჩიტები. მსიარულ განწეობილებაზე ისინი სულ სხვანაირად ტიკვიებენ, შემინებულნი ან გაბრაზებულნი კი ეურის წამლებად ენიასებენ.



ხავეების მოსაპოვებლად ანდა გერიხუან თაის დასაცვად
შიმპანსე მოხერხებულად იყენებს ჯოხს იარაღად

ცხოველთა სამეაროში სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვაგვარ ბეურებს გამოცემს. ჯგუფურად მცხოვრებ ცხოველებში, მაკალითად, ჯინჯებში, მეთაულურე ცხოველი სტკე-
ნით აფრთხილებს ჯოკს. აეროდრომებზე ფრინველებს სშირად უეკართ დასახლება.
ზოგჯერ ისინი ვარდებიან თვითმფრინავის პრავას სრახსნი და უბედურება მოაქვთ.
აეროდრომის მომსახურე ჰერსონალმა დაიჯირა იქ მობინადრე რამდენიმე ფრინველი.
დატევევებულმა ფრთოსნებმა შიშისაგან საზარელი ცნიასი შორთეს. ეს ცნიასი ნაიწე-
რეს მაგნიტოფონის ფირზე. მაგნიტოფონის ბეერები გაზარდეს სპეციალური გამამ-
ლიერებლებით, შემდეგ აპარატები ჩართეს. რეპროდუქტორებიდან ეთერში კაისმა ფრინ-
ველთა განკაშისა და საფრთხის მაუწებელი საშინელი ხმები. შედეგმა არ დააუონა:



ბამბანსუ ღა გორღა თაყაზო. ინტელექტით ცხოველთა ხაშე-
რაში ვრთ-კრთი უკვლასუ განუთარბული ოსესეებია



გორილა

ფრინველთა მთელმა გუნდმა, როგორც ერთმა, ელვის სისწრაფით მიატოვა აეროდრომი.

მაშასადამე, ფრინველებსაც ჰქონიათ „მეტეველების“ მსგავსი რამ. გაცილებით უფრო „მოლაპარაკე“ არიან მაიმუნები. ზოგიერთი მათგანი წარმოთქვამს რამდენიმე ათეულ ბგერას, თითოეულ მათგანს კი თავისი დანიშნულება აქვს.

კიდევ უფრო განუვითარდა ეს უნარი მაიმუნ-ადამიანს. ჯგუფურად ცხოვრებამ, ნადირობამ, დაგროვილმა შრომითმა ჩვევებმა წარმოქმნეს აუცილებლობა ერთმანეთში გაცილებით უფრო მეტი ბგერის გაზიარებისა, ვიდრე ეს მათ წინაპარ ფორმებს (მაიმუნებს) სჭირდებოდათ. ამასთან დაკავშირებით, დროთა განმავლობაში, იცვლებოდა მათი ენა და სორსი. შრომის შემდგომმა სრულყოფამ, ცეცხლის გაჩენისა და გამოყენების საიდუმლოების დაუფლებამ და აქედან მიღებულმა სიკეთემ საფუძველი მოუშადა მაიმუნ-ადამიანის ორგანიზმის შემდგომ სწრაფ განვითარებას. ამგვარად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა არსება, რომელშიც ადამიანური ნიშანთვისებები საგრძნობლად სჭარბობდა მაიმუნისას.

ფაქტიურად ეს იყო თანამედროვე ადამიანების უშუალო წინაპარი. ხიდან მიწაზე ჩამოსულმა ჰირველეოფილმა მაიმუნმა, შემდგომში რომ მაიმუნ-ადამიანის წინაპარი გახდა, კარგმოსთან შეკუებისას შეიძინა სრულიად ახალი თვისებები. გარკვეულად შეიცვალნენ ის მაიმუნები, რომელთა წინაპრები ტუეში დარჩნენ. მაგრამ ამ უკანასკნელებში გამოძმუშავდა მხოლოდ ტუეში საცხოვრებლად აუცილებელი ნიშან-თვისებები. ევოლუციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს ორი სახეობა საბოლოოდ და-

შორდა და განსხვავდა ერთმანეთისაგან. ადამიანი მიწაზე ჩამოსული და გაშლილ ადგილებში კანვითარებული მაიმუნთა სახეობების შორეული შთამომავალია. როგორც ითქვა, ადამიანი არ მიკუთვნება ძლიერ არსებათა რიცხვს, მაგრამ კონეებითა და შრომის პროცესში ხელის მუდმივი წვრთნით შეძლო კაპატარებულყოფიერ ჩვენს ზღანეცაზე.

საერთო წინაპარი — ვინ იყო იგი?

თითქმის ასორმოცდათი მილიონი წელი იბატონეს დედამიწაზე დინოზავრებმა. ამ დროს ვირთხის მსკავის ჰირველი მუქუმწოვრები ციკანტა ფეხებზე შემინებულები გარბი-გამორბოდნენ. მაგრამ გამოხდა ყამი და ამ ჰატარა მწერიჭამია ნადირთაგან წარმოიქმნა მუქუმწოვარა ცხოველების უამრავი ფორმა. მათ შორის იყენენ მაიმუნებიც. ეს უკანასკნელები საკმაოდ ადრე — ცარცული პერიოდისა და ჰალეოცენის სასლვარზე, ე. ი. დაახლოებით 70-65 მილიონი წლის წინათ გამოეყვნენ მწერიჭამიებს. ზოგიერთმა მაიმუნმა დღემდე შეინარჩუნა მწერიჭამია ცხოველების რიგი ნიშანი.

ცხოველი, რომელმაც ჰირველი ნაბიჯი გადაღა მწერიჭამია ცხოველიდან პრიმატებისაკენ, ანუ მალაღვანეთარებული მაიმუნისაკენ, ტუპაი იყო. გარეგნულად ტუპაი ციყუხა ჰკავს. როგორც ჩანს, ადრე ასეთივე კარკენობა ჰქონდა ეველა ლემურსა (ნახევარმაიმუნს) და მაიმუნს. ტუპაი დღემდე შემორჩა ცხოველთა სამეაროს.

ამოწვეტილი ცხოველებიდან ნამდვილი პრიმატების წინაპარს, როგორც ეარაუდობენ, წარმოადგენდა ჩრდილოეთ ამერიული ჰურგატორიუსი. ეს ცხოველი ვერ ასერსება და ხეზე ასვლას, ხოლო მაიმუნად რომ იქცე, ამ ჩვევის დაუფლება აუცილებულია. ეს იყო 70 მილიონი წლის წინათ. ამ დროს ეს ჩვენი უძველესი, მომცრო ტანის წინაპარი გართული იყო მიწის ჩიჩქნითა და იქ მწერებზე ნადირობით.

ადამიანისაკენ მიმავალი ევოლუციის ესა კი ასეთი იყო: ეს შორეულზე შორეული წინაპარი ვერ ხეზე უნდა ამკრალიყო. აქ იგი ვერ ნახევარმაიმუნად (ლემურად) უნდა გადაქცეულიყო, შემდეგ მაიმუნად და ამის შემდეგ კვლავ მიწაზე დამკებულიყო.

ლემურთა წინაპრებს დიდხანს არ დაუეოვნებიათ. უკვე ადრინდელ (ქვემო) ეოცენში (54 მილიონი წლის წინათ) მკვლხა და ახალ სამეაროებში ცხოვრობდნენ საკმაოდ ტიპური ნახევარმაიმუნები (ნოტარეტუსი — ჩრდილოეთ ამერიკაში და ადაუსი — ევროპაში). ეს ჰატარა ნადირები ხეზე ბინადრობდნენ, თითებზე ბრჭყალების მაკვირად განვითარებული ჰქონდათ ფრჩხილები, ხოლო თითის ბოლოზე — მკრმნობიარე ბალიშები.

ოლიგოცენში (38-26 მილიონი წლის წინათ) შეინიშნება უდაბლესი მაიმუნების ნამდვილი უკავება. ამ დროს ცხოვრობდა ბევრი, კანვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, თანამედროვე მაიმუნის წინაპარი ფორმა. სხეებს შორის იყენენ ეკიპტოპითეები — ადამიანის მსკავის მაიმუნების — გორილასა და შიმპანზეს ძალიან შორეული წინაპრებიც.



დეპური

აქედან მოყოლებული, იწყება უმაღლესი მაიმუნების ევოლუცია. მათ შორის იმ ფორმებს, რომელთაც უკვე ზოგიერთი ადამიანური ნიშნები აქვთ, ჰომინიდებს უწოდებენ, სხვებს — ადამიანის უშუალოდ მსგავს მაიმუნებს — გორილას, შიმპანზესა და მათ მსგავსებს — ჰონგიდებს.

ამ მაღალკანვითარებული ჰრიმატების უშუალო წინაპარი ფორმები ცნობილია მხოლოდ მიოცენიდან. მეცნიერებამ მათი ასაკი 8-20 მილიონი წლით შეაფასა. ერთ-ერთია 1856 წელს საფრანგეთში მიკლეული უმაღლესი მაიმუნის ნაშარხი ფორმის ება.

მის ჰატრონს სპეციალისტებმა დრიოპითეკი უწოდეს. მოგვიანებით დრიოპითეკის ნარჩენებს ბევრჯერ მიაკვლიეს ვრცელ ტერიტორიაზე: ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთში, საბჭოთა კავშირიდან კი — საქართველოში.

დრიოპითეკებიდან გამოყოფენ ჩვენი, ადამიანების, ვეულაზე უძველეს და უმჯველ წინაპარს — რამაპითეკს. კანვითარების თავის კსაზე რამაპითეკმა გადადგა ბუნების კანვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი — ეს იყო ნაბიჯი კაადამიანებისაკენ. რა-



აპერალიზოთეი (ქანარისა და პურიანის მახეფუთ. 1977 წ.)

მაჰითეკი ცხოვრობდა 14-8 მილიონი წლის წინათ. ევოლუცია ერთ ადგილზე არ იდგა. სწრაფად გაიარა 3 მილიონმა წელმა. მაგრამ რა სდებოდა მაიმუნების სამეარო-ში გაადამიანების ამ მონაკვეთში, არაფინ იცის. მეცნიერებისათვის ეს ძალიან დიდი დანაკლისია. სმაკეორდ გაცილებით ნათელია 5,5 მილიონი წლის წინანდელი სურათი. ამ დროს უკვე ბინადრობდა ადამიანის უმუქალო წინამორბედი ფორმა — ავსტრალოპითეი, ანუ სამხრეთის მაიმუნი. სწორედ ის იმეოფება ევოლუციის შუა გზაზე მაიმუნიდან (რამაპითეი) ადამიანამდე. სამხრეთ აფრიკაში ნაპოვნი ამ მაიმუნის ნაშთებიდან ჩანს, რომ სიმაღლით იგი 120 სანტიმეტრს არ აჭარბებდა. ამ სიმაღლის

არიან თანამედროვე აფრიკული ზიგზეები. ბუსტრალოპითუკი უკვე ორ ფეხზე დადიოდა და ხელები გათავისუფლებული ჰქონდა, ამიტომ ქვისაგან ჰირველ პრიმიტიულ იარაღს ამზადებდა. ეს იარაღები იპოვეს 1970 წელს აღმოსავლეთ აფრიკაში, რუდოლფის ტბის სანაპიროსთან. მათი ასაკი 2,6 მილიონი წლითაა შეფასებული! ჯერჯერობით, ჩვენს ჰლანტასზე ეს დამუშავებული კვები განვითარებული ცხოველის მიერ დამზადებულ ჰირველ იარაღად ითვლება.

აუსტრალოპითუკით მთავრდება ცხოველური წინაპრის გაადამიანების მაიმუნ-ადამიანის ანუ ჰითეკების ეტაპი. ამის შემდეგ იწყება განვითარების მეორე მნიშვნელოვანი საფეხური. ასპარეზზე ჩნდებიან თროპები. მათში ადამიანური თვისებები ჯარბობენ მაიმუნისას.

უკანასკნელი მაიმუნისა და ჰირველი ადამიანის საპატრიო სახელი გამოჩენილმა ინგლისელმა ანთროპოლოგმა ლუის ლიკიმ მიანიჭა — პრეზინჯატროპს. მეცნიერმა იგი კოსთარა 1960 წელს სამხრეთ აფრიკაში, ნაირობიდან 500 კილომეტრზე, კერძოდ, ოლდოვაის ხეობაში — უპველესი ნამარხი ცხოველების ამ უმდიდრეს საყანაში. წარმატებას მეცნიერმა მიაღწია 30 წლის (!) მუხუნებუდი მუშაობის შემდეგ. ფიქრობენ, რომ ამ არსებას, პრიმიტიული იარაღების ეკეთების კარდა, შეეძლო ქვის მარტივი ნაგებობების, ეოველ შემთხვევაში ქარისაგან დამცავი ნაგებობების აგებაც. ორი მილიონი წლის სიძველის ქვის ნაგებობა! ადამიანის ცივილიზაციის განვითარების ისტორიისათვის ეს მართლაც იმეოთი ფუქტია! პრეზინჯატროპს — დედამიწის ამ ჰირველ მშენებელს — ანთროპოლოგებმა „ჰომო ჰაბილისი“ ანუ „მარჯვე ადამიანი“ უწოდეს. ჰომო ჰაბილისი ჯერჯერობით ჰომოს გვარის ჰირველი ნამარხი წარმომადგენელია, რომელსაც ჩვენ, ადამიანებიც, მიუეკუთვნებით. ჰომოს ამ სახეობის არსებითი „ნაკლი“ ტვინის მოცულობაა. მარჯვე ადამიანში იგი შეადგენდა 680 კუბურ სანტიმეტრს. ეს კი ბალიან ცოტაა იარაღის დამამზადებელი ადამიანის შესაესი არსების განვითარებისათვის.

და ბოლოს, მილიონი წლის წინათ, გაადამიანების რთულ ენაზე გამოდის სახელგანთქმული ჰითეკანთროპი, ანუ კუნძულ იავას ადამიანი. როგორც ეს ფართოდა ცნობილი, მისი ნამარხი ძელები იპოვეს 1891 წელს კუნძულ იავაზე. მეცნიერებაში იგი დიდხანს იყო ცნობილი, როგორც დიდი ზომის ადამიან-მაიმუნი და ადამიანის ჰირველი წინაპარი. ეს ფუქტი, როგორც ანბანური ჯემპარიტება, დიდი ხნის მანძილზე ასევე შეუცვლელად შექმთ ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოებში, ხამეცნიეროთუ სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებში. დღე ეს აზრი მყდარად არის მიჩნეული. ჰითეკანთროპი შეტანილია ჰომოს გვარში თაკისი ახალი სახეობის აღმნიშვნელი სახელით — „ერეკტუსი“ ანუ „გამართული“. სიმადლითა და სხეულის სურთო პროპორციებით ჰომო ერეკტუსი თითქმის არ განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისაგან. მას თავიც ეველა წინამორბედთან შედარებით ეველასზე ადამიანური ჰქონდა, სოლო



კუნძულ აავის ადამიანი (ჰომო ერექტუს ერექტუსი) იწოდებოდა
პითეკანთროზად (შინარისა და ბურიანის ძიხეჯეთი, 1977 წ.)

ტვინის მოცულობა 1225 კუბურ სანტიმეტრს შეადგენდა (თანამედროვე ადამიანის ტვინის საშუალო მოცულობა 1500 კუბური სანტიმეტრია). მაგრამ გაპართული ადამიანის თავის ქალის ძვლები ჯერ კიდევ ძალიან მსხვილი იყო, სოლო წარბის ზედა რკალები მკვეთრად იყო წინ გამოშვერილი.

პითეკანთროპი ქვის უფრო სრულყოფილ იარაღებს ამზადებდა, ვიდრე მარჯვე ადამიანი და, რაც უფრო ძალიან არსებითია, მას უკვე აღარ ეშინოდა ცეცხლის, პირიქით, თვითონ ანთებდა კოცონს.

ადამიანის შემდგომი ევოლუციის საკითხში მეცნიერთა აზრი იყოფა: ერთნი თვლიან, რომ ჰომო ჰაბილისი პირდაპირ თანამედროვე ადამიანად — ჰომო საპიენსად, ანუ



ნეანდერტალელის ქალა ერაიდან

გონიერ ადამიანად გადაიქცა და ამგვარად გამოტოვა განვითარების ვიწროშუბლიანი ჰითეკანთროპის (ჰომო ერექტუსი) სტადია. მკვლევართა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ მარჯვე ადამიანიდან წარმოიქმნა ჰითეკანთროპი, ანუ გამართული ადამიანი, ამ უანსკნელმა კი დასაბამი მისცა ნეანდერტალელს — გონიერი ადამიანის ერთ-ერთ უაღრესად უშუალო წინაპარ ფორმას.

თუ ავსტრალიაში იყავით და ჰომო ჰაბილისის ნამარხი ძვლები ნაპოვნია მხოლოდ აფრიკაში, გამართულმა ადამიანმა თავისი კვალი დატოვა ძალიან ვრცელ ტერიტორიაზე: იაპიაში, ჩინეთში, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში.

ახალგაზრდა არქეოლოგის. ზაალ ქიქობის მიერ 1985 წელს მიკვლეული მასალებით დასტურდება, რომ უძველეს (გამართულ) ადამიანს ერთი მილიონი წლის წინათ ინტენსიურად ჰქონდა ათვისებული კავკასიაც, კერძოდ, საქართველოს შესწავლასთვის ტერიტორია.

ანთროპოლოგიური მატრიანის შემდეგი ნათელი ფურცელი დაკავშირებულია ევროპასთან. აქ მიაკვლიეს ჰითეკანთროპთან შედარებით ახალ, ადამიანის უფრო პროგრესულ ფორმას. ეს არის ზემოთ აღნიშნული ნეანდერტალელი. ცხოველის ეს ფორმა განსაკუთრებით ხანტერესოა თავის ტვინის კანვითარებით. ნეანდერტალელის ტვინი იმავე მოცულობისაა, როგორც ჩვენი. გარდა ამისა, იგი ამზადებდა გაცილებით უფრო სრულყოფილ კაეის იარაღებს, ვიდრე გამართული ადამიანი. არის მოსაზრება, თითქოს ნეანდერტალელი მუდმივ საცხოვრებლებსაც აკებდა. ეს არსება ევროპაში ბინადრობდა 150-35 ათასი წლის წინათ, შემდეგ კი, უეცრად, იგი შეცვალა ადამიანის სრულიად თანამედროვე უაიდის ფორმამ — კრომანიონელმა. კრომანიონელთა მიერ ნეანდერტალელების განდევნის საბოლოო პროცესი დამთავრდა 35 ათასი წლის წინათ. ამგვარად, თანამედროვე ადამიანის ტიპი დედამიწაზე პირველად 35 ათასი წლის წინათ კი არ აჩნდა, როგორც ამას ფიქრობდნენ, არამედ გაცილებით ადრე. რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში თანამედროვე ტიპის ადამიანი გვერდი-გვერდ ცხოვრობდა და მეტოქეობას უწევდა თავის მთავარ კონკურენტს — ნეანდერტალელ ადამიანს. არის მოსაზრება, რომ კრომანიონელები წარმოიშვნენ აზიაში. ამ უკანასკნელებმა ნეანდერტალელები განდევნეს ჯერ ახლო აღმოსავლეთიდან, შემდეგ კი აფრიკიდანაც. ამ ქვეყნების ნეანდერტალელები უფრო განვითარებული იყვნენ, ვიდრე მათი ევროპელი თანამოძემენი.

ამგვარად, უკანასკნელი გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ხასიათის დასკვნა: როდესაც ევროპაში ჯერ კიდევ ბინადრობდნენ ნეანდერტალელები, აზიას და აფრიკაში გამოჩნდნენ ჰომო სანჯიენის სახეობის ადამიანები. ამ უკანასკნელებს მივეუბნებით ჩვენც, თანამედროვე ადამიანები. საფიქრებელია ასევე, რომ ნეანდერტალელების გაქრობისას ანდა რამდენადმე უფრო ადრე, თანამედროვე ტიპის ადამიანი ავრცელებული იყო მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, ჩამოუალიბდნენ თანამედროვე ტიპის რასებიც. ესენი იყვნენ ბოსკოპის ადამიანები აფრიკაში (ნეკროიდების ფუძემდებლები) და ზედა მდვიმის (ჰოუკოუდიანი) ადამიანები — ჩინეთში (მონღოლოიდები).


მაშასადამე, შეინიშნება ადამიანის წინაპრების განვითარება შემდეგი თანმიმდევრობით: დრიოპითეი — რამაპითეი — ავსტრალიაშითეი (?)... მარჯვე ადამიანი — გა-



კრომანიონელი ადამიანი (შინარისა და ბურიანის მიხედვით, 1977 წ.)

მართული ადამიანი — ნეანდერტალელი (?) — კრომანიონელი, ბოსკოპის ადამიანი, ზედა მლვიმის ადამიანი — თანამედროვე ადამიანი. ანდა ევოლუციის მეორე გზა: დრიოპითუკი — რამაპითუკი — აუსტრალოპითუკი(?) — ... მარჯვე ადამიანი — ... კრომანიონელი, ბოსკოპის ადამიანი, ზედა მლვიმის ადამიანი — თანამედროვე ადამიანი.

სადღა დაიკარგა ცნობილი ჩინელი ადამიანი, ანუ სინანთროპი? ამჟამად ი.ი. როგორც ერთ-ერთი ფორმა, მიკუთვნებულია იმავე სახეობას, რომელშიც გააერთიანეს ნეანდერტალი, ანუ ჰომო ერექტუსს.



რამდენიმე ათასი წლას წინათ (პალეოლითი) აფრიკელ მონადირე-
მიერ გამოქვაბულის კედლებზე შესრულებული რიტუალური
ხასიათის ნახატი

